# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 19 ნოემბერი 2005 №267 (2590) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დე ფაქტო დეიურემდე
# დარსაძის საქმე: წასულია



დღეიდან და ფაქტობრივად გაიოზ დარსაძე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ოფიციალური ინფორმაცია მწვრთნელის მოხსნისა თუ გადადგომის თაობაზე ჯერ არ გაცხადებულა, თუმცა საკმაოდ კომპეტენტური ხალხის თქმით, დღეს დაგეგმილი პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გაიოზ დარსაძის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გააკეთებს განცხადებას. ანაც, სავარაუდოდ, ახალკაცი იტყვის, ვიდრე ნაკრების ახალი მწვრთნელი არ დაინიშნება, გაიოზ დარსაძე თავის მოვალეობას შეასრულებსო. ეს კი, ფაქტობრივად, მწვრთნელის მოხსნას ნიშნავს.

ერთი სიტყვით, შეიძლება, ასეც ვთქვათ — ეროვნული გუნდის ან უკვე ფაქტობრივად ყოფილმა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ იორდანიასთან მატჩისას ძალიან კარგადაც გაიგო ხალხის გულის-ხმა — „წადი", დაფიქრდა, შარს გაეცალა და წავიდა.

ეს ამბავი კარგა ხნის მომწიფებული იყო, მაგრამ ბოლო სიტყვა სწორედ წუხელ ითქვა — დარსაძე ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება, თუმცა ფედერაციაში სამსახური მას ალბათ არ დაეკარგება...

# 21 ფაჩულიამ ნოვიცკისთან ბრძოლაში სტეფანიას რეკორდი წაართვა



აი, სიურპრიზი! ნბა-ში, პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში, ქართველი მოთამაშე 20-ქულიან ზღვარს ასცდა. გუშინწინ ატლანტელმა ზაზა ფაჩულიამ „დალას მავერიკსთან" შეხვედრაში 21 ქულა მოაგროვა და ვლადიმერ სტეფანიას 4 წლის წინანდელი „ქართული რეკორდი" დაამხო: ამჟამად უგუნდოდ მყოფმა და ტრავმებით გატანჯულმა სტეფანიამ „მაიამიში" ყოფნისას 19 ქულა აართვა „შარლოტ ჰორნეტსს".

სიურპრიზიო, ვთქვით, თუმც ამერიკულ კალათბურთში ჩახედულთათვის ატლანტელი ცენტრის ასეთი განავარდება მოულოდნელი ალბათ არც ყოფილა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ფაჩულიას ერთი ხმაურიანი თამაში უნდა გამოეცხო: ამ რეკორდმატჩამდე მან 7 შეხვედრა ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და 10-ქულიან თამასას მხოლოდ ერთხელ ჩამოსცდა, მთლიანობაში კი 3 ორმაგი დუბლი მიითვალა.

„დალასთან" ჯახში ზაზამ მეოთხე დუბლი მოიმკა — 21 ქულას 12 მოხსნაც მიაბა. მისმა უშუალო ოპონენტმა, დალასელმა ერიკ დემპიემ ქულა რომ ქულაა, ისიც ვერ მოიხვეჭა, ხოლო ტეხასელმა ცენტრის დარმა თავდამსხმელმა, დიდმა დირკ ნოვიცკიმ 20 ქულას მოუყარა თავი. ასე რომ...

# ფედერაციას და მთავრობას ერთი და მთავარი მოეკითხება ტაბლო

— ქართულ ფეხბურთში სადღეისოდ შექმნილ ვითარებას როგორ შეაფასებთ?

— როგორიც არის, ისე — ქართული ფეხბურთი კრიზისშია. ვითარების გამოსასწორებლად კი სამინისტრომ, ფედერაციამ და ქომაგებმა ერთად უნდა ვიზრუნოთ.

— გავიგეთ, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გაიოზ დარსაძის გათავისუფლების საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა...

— ნაკრების მწვრთნელის საკითხი ფეხბურთის ფედერაციისა და მისი აღმასკომის გადასაწყვეტია. ვიცი, რომ საფეხბურთო სამყაროს ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირებით უამრავი კითხვა აქვს. გაიოზ დარსაძემ ბოლო დროს ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ბევრი სასარგებლო ნაბიჯი გადადგა. ეროვნულ გუნდს აქვს ერთიანი სულისკვეთება, არის დისციპლინა, მაგრამ ეს პროცესები ნაკრების თამაშზე ვერ აისახება. ახლა საჭიროა განვითარების შემდგომი ეტაპის დაწყება და ფედერაციის ხელმძღვანელობა ალბათ დამეთანხმება, რომ სასურველია, ეროვნულ გუნდში დიდი ავტორიტეტისა და მაღალი კვალიფიკაციის უცხოელი მწვრთნელი დაინიშნოს.

— ამას წინათ ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდით. თუ საიდუმლო არაა, რა საკითხებზე ისაუბრეთ?

— შედეგი რა იყო, იმას გეტყვით. ფედერაციის ხელმძღვანელობამ დეტალურად აგვიხსნა, რა პროცესები მიმდინარეობს ამჟამად ქართულ ფეხბურთში. შევთანხმდით, რომ საქმეს აღარ გავაჭიანურებთ და წლის ბოლომდე შევიმუშავებთ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას, სადაც ბევრი საჭირბოროტო საკითხი იქნება: საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება, მოედნების მოწესრიგება, ბავშვთა ფეხბურთი, ფედერაციისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის პრინციპები, ფინანსური საკითხები... შემდეგი შეხვედრა ამ თვის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გაიოზ დარსაძე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება — მას დღედღეზე დაითხოვენ, მწვრთნელად კი უცხოელს დანიშნავენ.

ამ ამბავს კულუარული აღარც ეთქმის, დარსაძის მოხსნაზე უკვე ყველგან ღიად საუბრობენ და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომასაც მოუთმენლად ელიან.

...მართალია, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილი ნაკრების მწვრთნელის გათავისუფლების თაობაზე პირდაპირ განცხადებას არ აკეთებს, თუმცა, რისი და როგორ თქმაც მინისტრს ეგების, თითქმის ყველაფერს ამბობს და მისი სიტყვების მიღმაც ბევრი რამ იკითხება.

გოკა გაბაშვილს გუშინ შევხვდით და, რა თქმა უნდა, ბოლო დროს ყველაზე აქტუალურ, სანაკრებო პრობლემებზე ვესაუბრეთ...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

— კონკრეტულად მწვრთნელის თაობაზეც გისაუბრიათ...

— მწვრთნელის თაობაზე, როგორც ქომაგმა, ისე შემიძლია ვისაუბრო, თუმც ზოგადად ქომაგმა შეიძლება მეტიც იცოდეს. გაიოზ დარსაძე, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, ფედერაციისთვის ღირებული კადრია. მისი ცოდნის და კომპეტენციის მრავალმხრივ გამოყენება შეიძლება, მაგრამ დასამალი რა არის, ქართულ ფეხბურთს განვითარება სჭირდება. მომავლის ხედვა აუცილებელია. თუმცა აწმყოსაც უნდა მივხედოთ და მაქსიმალურად კარგ შედეგს მივაღწიოთ. საამისოდ კი, ვფიქრობ, უფრო მეტი გამოცდილების მქონე მწვრთნელის დანიშვნა უპრიანი იქნება. სადღეისოდ ნაკრებში სასიკეთო ტენდენციები შეინიშნება, იგივე დისციპლინის მხრივ და, გაიოზ დარსაძის დამსახურება არ უნდა დაიკარგოს. გუნდის თამაშის ორგანიზებას კი უცხოელი მწვრთნელი არ ავნებდა.

— როგორც ქომაგი და არა სპორტის მინისტრი — წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ნაკრების თამაშში რა ნაკლს ხედავთ?

— ეს საკმაოდ ვრცელი საუბრის თემაა. არ მსურს, ჩემს კომპეტენციას გავცდე, საქართველოში ფეხბურთზე ასე ლაპარაკის უფლება სპორტის მინისტრის გარდა ყველას აქვს. მე ვარ ამ სფეროს მინისტრი, სუბიექტური პოზიცია ჩემგან არაკორექტული იქნება. ზოგადად კი, არ მახსენდება ისეთი პერიოდი, როცა ნაკრებს ორ შეხვედრაში 12 გოლი მიეღოს, კლასით აშკარად დაბალი დონის მეტოქესთან კი 0:0 ეთამაშოს. ძალიან დიდი ხანია, ასეთი უმწეობის გრძნობა არ მქონია. ადამიანი ვარ და, მიჭირს ასეთი გრძნობების მოთოკვა. ფეხბურთის სპეციალისტი არ ვარ და თავს არ დავდებ, რომ ჩემი შეფასება სწორია. თუმცა, ვეცდებით, ნაკრების მწვრთნელის თაობაზე ფედერაციისა და სამინისტროს პოზიციების თანხვედრა იყოს, ანუ მწვრთნელის თეორიული ცოდნა პრაქტიკულს არ სჭარბობდეს.

— ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ბევრჯერ თქვა, რომ უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანი ფული არ აქვს...

— ზუსტად არ ვიცი, ფედერაციას რისი საშუალება აქვს. ეს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხილვის პროცესში გამოჩნდება. ჩვენ მზად ვართ ერთობლივი საქმიანობისთვის. ხოლო ის არგუმენტი, რომ ფული არ გვაქვს, საქართველოს ნაკრები კი ამ დროს გამანადგურებელი ანგარიშებით მარცხდება, ლოგიკურ არგუმენტად არ მიმაჩნია. მაინცდამაინც მილიონებზე და ტოპ-კლასის მწვრთნელებზე არ ვლაპარაკობ. მწვრთნელის დანიშვნა ფედერაციის საქმე და ვალდებულებაა, ჩვენ კი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მწვრთნელის დანიშვნის საქმეში ფედერაციას მხარში ამოვუდგებით.

— სახელმწიფო პროგრამა და მწვრთნელი: რომელი უფრო ადრე იქნება?

— ჯერ მწვრთნელი, მერე — პროგრამა. ეს არც ფედერაციაზე ზეწოლაა და არც ულტიმატუმი. ესაა პრობლემის ერთობლივი ხედვა და ამის თაობაზე ფედერაციასთან შეთანხმებულები ვართ. მესმის, რომ ყველა რესურსი ერთიანად არ უნდა ამოწურო, მწვრთნელს თუ ჩამოიყვან, მოედნები მოუწყობელი დაგრჩება; მესმის, რომ ეროვნულ გუნდს სავარჯიშოდ ელემენტარული პირობები არ აქვს და ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია, მაგრამ...

— ისევ როგორც ქომაგს და არა მინისტრს, მწვრთნელობის სასურველი კანდიდატი თუ გყავთ, ან ვინ, სადაური უნდა იყოს ის?

— ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. ვიმეორებ, მწვრთნელის დანიშვნა ფეხბურთის ფედერაციის ექსკლუზიური უფლებაა.

— თქვენ რას ურჩევთ ფედერაციას?

— ფედერაცია პრობლემებს უფრო ღრმად ხედავს, ვიდრე ჩვენ. სადღეისოდ ნაკრებში ბევრი რამ გაკეთდა. გაიოზ დარსაძემ, ღირსეულმა და გაწონასწორებულმა პიროვნებამ, სასიკეთოდ შეცვალა ნაკრების თამაშის მიღმა ცხოვრება. ფეხბურთელებმა მისი ხელმძღვანელობით პატრიოტული გრძნობები გაითვითცნობიერეს. ნაკრებში აღარ არის დაჯგუფებები. მოკლედ, სერიოზული საქმეები გაკეთდა, მაგრამ, ვფიქრობ, ახალი ეტაპის დაწყების დროა, სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება. დიახ, ინფრასტრუქტურა პრობლემაა, პრობლემაა მოედნებიც, სხვაც ბევრი, მაგრამ არის ერთი, მთავარი კრიტერიუმიც — ტაბლო.

— ახლა თქმულის პრაქტიკული შედეგი როდისთვის იქნება?

— ამ თვის ბოლოს.

ქობა ინასარიძე

## P.S. დე ფაქტო დე იურემდე: გაიოზ დარსაძე წასულია

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XIII ტური

ბოხუმი 1:4 ალემანია
ბრაუნშვაიგი 1:2 ბურგჰაუზენი
ოფენბახი 1:3 კარლსრუე
პადერბორნი 4:0 ზიგენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVII ტური

ობერჰაუზენი 0:0 ქემნიცი

სამხრეთ რეგიონალლიგა XVI ტური

ელვერსბერგი 2:2 მიუნხენი (მ)
ჰოფენჰაიმი 1:2 შტუტგარტი (მ)
კობლენცი 5:0 ეშბორნი
აალენი 1:0 რეგენსბურგი

### იტალია

სერია B. XVI ტური

ბარი 3:1 ალბინოლეფე

სერია C1/A. XII ტური

პავია 3:0 რავენა

### პორტუგალია

სუპერლიგა. XI ტური

გიმარაეში — ჟილ ვისენტე
გვიან დამთავრდა

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XII ტური

ტილბურგი 3:4 ვიტესი

მეორე დივიზიონი XVIII ტური

კამბური 1:0 ეინდჰოვენი
ემენი 2:1 ვეენდამი
ალმერე 1:1 ვოლენდამი
ზვოლე 4:1 მაასტრიხტი
სიტარდი 1:2 დენ ბოსხი
ჰაარლემი 1:0 აპელდორნი
ჰელმონდი 1:0 დორდრეხტი
ტელსტარი 1:0 იგლსი
ოსი 1:0 გრააფსხაპი
ვენლო 1:0 ექსელსიორი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXXIII ტური

ბოჰემიანსი 0:3 შელბურნი
კორკ სიტი 2:0 დერი სიტი
ფინ ჰარპსი 2:4 ბრეი
სენტ პატრიკსი 1:3 ლონგფორდი
დუბლინი 2:2 შემროკი
უოტერფორდი 1:0 დროჰედა

### ავსტრია

I დივიზიონი. XIX ტური

ალტახი 1:0 კუფშტაინი
აუსტრია (მ) 2:2 გრატკორნი
ლინცერი 5:1 კაპფენბერგი
ლეობენი 1:0 აუსტრია (ლ)
შვაინშტადტი 1:2 კერნტენი

### ინგლისი

ჩემპიონატი. XIX ტური

დერბი 0:3 ვულვერჰემპტონი

I ლიგა. XVIII ტური

სუონსი 2:0 იოვილი

II ლიგა. XVIII ტური

ჩელტენემი 4:1 ლინკოლნი

კონფერენსლიგა. XVII ტური

აკრინგტონი 2:0 ფორესტ გრინი

### პოლონეთი

I ლიგა. XIV ტური

ლეგია 3:2 გურნიკი

### შვეიცარია

სუპერლიგა. XV ტური

თუნი 2:3 ძსამაძსი

### საქართველოს პირველი ლიგა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი ლიგა, პირველი 17 ჩემპიონატი, ლიგა, წრე — 15 ტური

თბილისი 2 0:1 ამერი 2
საგარეჯო 1:1 ჩიხურა
დინამო 2 0:0 მეშახტე
გაგრა 0:0 მაღაროელი
მერანი 2:0 გურია
რუსთავი 1:1 მეშაქრე
ზუგდიდი 0:0 მესხეთი

დღეს

ლიახვი — ზესტაფონი 2

ხვალ

ვიტ ჯორჯია 2 — ლოკომოტივი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 15 | 11 | 2 | 2 | 46:18 | 35 |
| მერანი | 15 | 10 | 3 | 2 | 23:9 | 33 |
| დინამო 2 | 15 | 9 | 3 | 3 | 26:8 | 30 |
| მეშაქრე | 15 | 9 | 3 | 3 | 28:13 | 30 |
| ამერი 2 | 15 | 9 | 1 | 5 | 24:14 | 28 |
| რუსთავი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:15 | 28 |
| გურია | 15 | 7 | 3 | 5 | 25:17 | 24 |
| გაგრა | 14 | 6 | 5 | 3 | 18:12 | 23 |
| მესხეთი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:18 | 22 |
| საგარეჯო | 15 | 6 | 3 | 6 | 16:15 | 21 |
| მეშახტე | 15 | 5 | 6 | 4 | 16:11 | 21 |
| ზუგდიდი | 15 | 5 | 4 | 6 | 7:11 | 19 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 4 | 1 | 9 | 11:28 | 13 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 3 | 3 | 8 | 10:18 | 12 |
| თბილისი 2 | 15 | 3 | 3 | 9 | 14:28 | 12 |
| მაღაროელი | 15 | 2 | 2 | 11 | 10:38 | 8 |
| ზესტაფონი 2 | 13 | 2 | 0 | 11 | 11:30 | 6 |
| ლიახვი | 14 | 2 | 0 | 12 | 12:39 | 6 |

# საქართველოს ნაკრები: 2005 ციფრებში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 | აშვეთია |
| 26/03/05 | შ | მჩ | საბერძნეთი | 1:3 | ასათიანი |
| 30/03/05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | ამისულაშვილი, ა. იაშვილი |
| 04/06/05 | ს | მჩ | ალბანეთი | 2:3 | ბურდული, კობიაშვილი |
| 19/08/05 | ს | მჩ | ყაზახეთი | 2:1 | დემეტრაძე (2) |
| 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 | გახოკიძე |
| 07/09/05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | დემეტრაძე |
| 08/10/05 | შ | მჩ | ყაზახეთი | 0:0 | |
| 12/10/05 | ს | მჩ | საბერძნეთი | 0:1 | |
| 12/11/05 | ს | ამ | ბულგარეთი | 2:6 | ჯაკობია, გოგუა |
| 16/11/05 | შ | ამ | იორდანია | 3:2 | დემეტრაძე (2), შ. არველაძე |

# ლიტვიდან იორდანიამდე

## საქართველოს ნაკრების ციფრული ქვეისტორია

იორდანიასთან მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის წლეულს ბოლო იყო და, ბუნებრივია, ჩვენც ციფრებში ჩავიხედეთ. ვფიქრობთ, საინტერესოა, როგორი სტატისტიკით ჩაამთავრა ნაკრებმა 2005 წელი და ეს წერილიც ამაზეა. მაშ ასე, ამჯერად არავითარი ანალიზი, მხოლოდ ციფრები...

წლეულს საქართველოს ნაკრებმა თერთმეტი მატჩი გამართა: რვა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, სამი — ამხანაგური.

ამ თერთმეტ შეხვედრაში მონაწილეობდა ორმოცი ფეხბურთელი, რომელთაგან ყველაზე მეტჯერ (ათჯერ) კაპიტანმა კახა კალაძემ ითამაშა — მან მხოლოდ ლიტვასთან ამხანაგური მატჩი გამოტოვა.

ალბათ, შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ 2005 წელს საქართველოს ნაკრებს ორი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა — ალენ ჟირესი და გაიოზ დარსაძე. ჟირესი ბოლოს 4 ივნისს, ალბანეთთან მატჩზე გაუძღვა გუნდს, დარჩენილი შვიდი თამაში კი დარსაძისა იყო.

ნაკრების ბომბარდირი ხუთი გატანილი ბურთით გიორგი დემეტრაძეა და, საინტერესოა, რომ მან ხუთივე ბოლო შვიდ მატჩში შეაგდო — ყაზახეთთან დუბლით დაწყებული იორდანიასთან დუბლითვე დააგვირგვინა, შუაში კი კოპენჰაგენშიც გაიტანა. სულ კი ნაკრებში „დემეს“ ჩათვლით თერთმეტმა ფეხბურთელმა იყოჩალა.

ყველაზე უხეში ფეხბურთელი მაინცდამაინც ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს — გოგიტა გოგუამ, ვისაც წლეულს ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა, რვა მატჩში ოთხი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მიიღო.

ეს არის და ეს, უფრო დეტალურად კი ცხრილებში ნახავთ.

**კახა შალამბერიძე**





2005 წელი საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესმა დაიწყო და გაიოზ დარსაძემ დაასრულა



კახა კალაძე



გიორგი დემეტრაძე

### მატჩები

10 ------- კახა კალაძე
9 ----- ზურაბ ხიზანიშვილი
ლევან კობიაშვილი
გიორგი დემეტრაძე
8 ---- გოგიტა გოგუა
7 -------- კახა მჟავანაძე
ლაშა სალუქვაძე
მალხაზ ასათიანი
დავით მუჯირი
6 ---- გიორგი ლომაია
მიხეილ აშვეთია
გიორგი განუგრავა
ჯაბა კანკავა
5 ------ ლევან ცქიტიშვილი
4 ------ დავით კვირკველია
დავით ოდიკაძე
ლაშა ჯაკობია
ნუკრი რევიშვილი
ალექსანდრე იაშვილი
3 ------- შოთა არველაძე
ლადო ბურდული
ზურაბ მენთეშაშვილი
გოგა გახოკიძე
2 ------ ზვიად სტურუა
ოთარ ხიზანეიშვილი
ალექსანდრე ამისულაშვილი
რატი წინამძღვრიშვილი
ილია კანდელაკი
ვიტალი დარასელია
1 ---- გიორგი შაშიაშვილი
გივი კვარაცხელია
ალექსანდრე გოგობერიშვილი
გიორგი ქინქლაძე
ვასილ გიგიაძე
აკაკი დევაძე
ლევან მაღრაძე
ალექსანდრე რეხვიაშვილი
მიხეილ ბობოხიძე
კახა ალადაშვილი
ბექა გოცირიძე

### მეგოლეები

5 ----- დემეტრაძე
1 ----- აშვეთია
არველაძე
ჯაკობია
გოგუა
ასათიანი
ამისულაშვილი
იაშვილი
კობიაშვილი
ბურდული
გახოკიძე

### გაფრთხილება

4 ----- გოგუა
3 ----- კანკავა
2 ----- მუჯირი
ხიზანიშვილი
კობიაშვილი
1 ----- დემეტრაძე
მჟავანაძე
ცქიტიშვილი
დარასელია
ალადაშვილი
მენთეშაშვილი
გოცირიძე
ასათიანი
განუგრავა



გოგიტა გოგუა

### გაძევება

1 ----- გოგუა
ხიზანიშვილი

### მწვრთნელები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ალენ ჟირესი | 4 მატჩი | 1 მოგება | 0 ფრე | 3 წაგება | ბურთები 6:11 |
| გაიოზ დარსაძე | 7 მატჩი | 2 მოგება | 2 ფრე | 3 წაგება | ბურთები 9:17 |
| სულ | 11 მატჩი | 3 მოგება | 2 ფრე | 6 წაგება | ბურთები 15:28 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ჯენერალური სპონსორი

## საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
14 ტური ანონსი

# ამერი ბოლნისის წინ გაჩუმდა
## აბა, ვინ ახმაურდება დღეს...



ტურის მთავარი მატჩი გლდანშია: თბილისის „ამერი" ბოლნისის „სიონის" წინააღმდეგ

ბათუმი. 19 ნოემბერი. 14 საათი. დინამო
### ბათუმი — ცხინვალი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ფოთი. 19 ნოემბერი. 14 საათი. ფაზისი
### კოლხეთი — დინამო
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი. 19 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე
### დილა — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ბეუქლიშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. 19 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი
### ლოკომოტივი — ბორჯომი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. ვადაჭკორია (თბილისი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

ქუთაისი. 19 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო
### ტორპედო — სპარტაკი
მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკაროლლი (ქარელი); ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი

თბილისი. 19 ნოემბერი. 14 საათი. ამერი
### ამერი — სიონი
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი); ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თელავი. 19 ნოემბერი. 14 საათი. გივი ჩოხელი
### კახეთი — თბილისი
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ვ. ელისაბედაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. ნონიკაშვილი (სამივე თბილისი); ინსპექტორი: ვ. ეჯიბია

თბილისი. 19 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი
### სოხუმი — ზესტაფონი
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი); ინსპექტორი: გ. ბაჩუკაშვილი

**გლდანში** ვერ წააწყდებით აფიშას, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე „ამერი" ამა და ამ გუნდს მასპინძლობსო, მაგრამ „ამერი" გლდანელი ქომაგების გუნდად ყალიბდება და მის საშინაო მატჩებზე 900-კაციანი ტრიბუნა სულ ივსება. ასე იქნება ალბათ დღესაც, რადგან გლდანში ტურის მთავარი მატჩია — თბილისელთა სტუმარი ბოლნისური „სიონია".

გუშინ „ამერის" მწვრთნელთან ან რომელიმე ფეხბურთელთან გვსურდა გასაუბრება, მაგრამ კლუბმა ოფიციალურად გვამცნო, გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები წინასამატჩო კომენტარებზე უარს ამბობენო. ჩვენი ვარაუდით, ეს იმის ბრალია, რომ ამ მატჩს იმდენად დიდი ფასი აქვს „ამერისთვის", ამერელებს ბლიც-ინტერვიუსთვისაც კი არ სცალიათ.

მოკლედ, ყველას თავისი მეთოდებით გაუმარჯოს, „სიონის" დამრიგებელ *ხვიჩა ქასრაშვილს* კი რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— წინა ტურში თქვენი პირველი მეკარე მინდია ბობლიაშვილი მესამედ გააფრთხილეს და „ამერთან" მატჩისთვის ის დისკვალიფიცირებულია — ვის ანდობთ გუნდის კარს?

— ალბათ ნიკა გავაშელს, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ დავით ასლანაძე ვათამაშოთ.

— მეტოქეზე რას იტყოდით?

— „ამერის" მიმართ დიდი სიამპათიით ვარ განწყობილი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დალაგებული გუნდია ინფრასტრუქტურითა და ყველაფრით. პოტენციითაც ბევრს სჯობია.

— „სიონი" მეორე ადგილზე კია, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში მოწინავე გუნდებთან სტუმრად თამაში უჭირს — „ლოკომოტივთან" ფრედ ითამაშა, ხოლო „ვიტ ჯორჯიასთან" და „დინამოსთან" წააგო...

— „ლოკომოტივთან" და „ვიტ ჯორჯიასთან", როგორც იტყვიან, თამაშით არ წაგვიგია, ამ გუნდებს არაფერში ჩამოვუვარდებოდით, „დინამო" კი ერთადერთი გუნდია, რომელმაც მართლა გვაჯობა.

— „ამერთან" დაცვით ტაქტიკას აირჩევთ?

— ვნახოთ, ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რომელი ფეხბურთელები იქნებიან სრულ მზადყოფნაში. თენგიზ ჩიკვილაძე, ჯაბა დვალი და დავით ბოლქვაძე — „სიონის" ამ წამყვან ფეხბურთელებს მიკროტრავმები აწუხებთ.

— „ამერი" უფრო ცენტრიდან შეტევითაა ძლიერი, „სიონი" კი ფლანგებიდანაც კარგად უტევს — ეს იმას ნიშნავს, რომ „ამერთან" მატჩში თქვენი მთავარი კოზირი ფლანგები იქნება?

— ჩვენ გვყავს ფლანგელები — გრიგოლ დოლიძე, გიორგი კვიტაიშვილი, გიორგი ქუცურუა... ერთი სიტყვით, ვეცდებით, მეტოქეს ფლანგებიდან კარგად შევუტიოთ. ისე, „ამერსაც" ჰყავს კარგი ფლანგელი ალეკო კოშკაძე.

— ვინ უპატრონებს „სიონს" მეორე წრისთვის — ამ საკითხში ახალი ხომ არაფერია?

— კლუბს ჯერჯერობით ერთი პატრონი ჰყავს — ბოლნისის გამგებელი გია არევაძე და ამ პიროვნების დიდი იმედი გვაქვს.

გლდნიდან ვაკეში გადავინაცვლოთ: „მიხეილ მესხზე" „ლოკომოტივი" — „ბორჯომია", თუმც არ გვგონია, ისეთივე საფეხბურთო ჟრიამული იყოს, როგორც გლდანში. ბოლო ოთხი თამაშიდან „ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთი მოიგო, ხოლო „ბორჯომმა" ორი წააგო და ამდენივე მოიგო. მთავარი კი ალბათ ისაა, რომ ამ გუნდებს სერიოზული მიზნებისთვის საჭირო ამბიცია ჯერ არ ეტყობათ, დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და იქნებ რომელიმე ევროსაგზურსაც უმზერენ.

ვფიქრობთ, არც ფოთში იქნება პატარა მატჩი. თბილისის „დინამოს" იქ „კოლხეთთან" არაერთხელ წაუგია და დღეს ალბათ დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ითამაშებს. ჩემპიონატში „დინამომ" ბოლო ექვსი თამაში მოიგო და, ვინძლო, არც დღეს დაუცდება ფეხი.

„დინამოს", „სიონს", „ამერს", „ლოკომოტივს" და „ბორჯომს" ყური და თვალი გორისკენაც გაექცევათ, სადაც ლიდერი „დილას" შეერკინება. ფავორიტი „ვიტ ჯორჯია" კია, მაგრამ სიფრთხილე ნესტორ მუმლაძის გუნდსაც არ აწყენს.

ქუთაისში, ბათუმში და თელავში ტურის მთავარი მატჩები როდია, მაგრამ ამ ქალაქის გუნდებს და მათ მეტოქეებს თავიანთი გეგმები აქვთ, რისთვისაც ჯანი და ჯახი დასჭირდებათ.

...წინა ტურში უნდა დაბრუნებულიყო „ზესტაფონში" თემურ მახარაძე, მაგრამ მაშინ გუნდი „კოლხეთთან" ისევ კობა ჟორჟიკაშვილმა გაიყვანა, დღეს კი „შევარდენზე" მახარაძის ჯერია.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 2 | 1 | 30:9 | 32 |
| სიონი | 13 | 9 | 2 | 2 | 24:11 | 29 |
| დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 21:7 | 28 |
| ამერი | 13 | 9 | 1 | 3 | 15:8 | 28 |
| ბორჯომი | 13 | 9 | 0 | 4 | 24:10 | 27 |
| ლოკომოტივი | 13 | 8 | 3 | 2 | 18:5 | 27 |
| ზესტაფონი | 13 | 6 | 3 | 4 | 13:11 | 21 |
| ბათუმი | 13 | 6 | 2 | 5 | 13:12 | 20 |
| კოლხეთი | 13 | 6 | 0 | 7 | 13:16 | 18 |
| დილა | 13 | 5 | 1 | 7 | 17:16 | 16 |
| კახეთი | 13 | 5 | 0 | 8 | 13:20 | 15 |
| ცხინვალი | 13 | 3 | 2 | 8 | 9:23 | 11 |
| სოხუმი | 13 | 3 | 1 | 9 | 14:31 | 10 |
| ტორპედო | 13 | 2 | 4 | 7 | 8:14 | 10 |
| სპარტაკი | 13 | 1 | 2 | 10 | 3:21 | 5 |
| თბილისი | 13 | 1 | 0 | 12 | 8:28 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კინი მანჩესტერიდან წავიდა

## როის ეპოქა დასრულდა დიდი



**ბოლო** წლებში მსოფლიო ფეხბურთისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ნახევარმცველმა როი კინმა „ოლდ ტრეფორდი" დატოვა. სკანდალური კარიერის მქონე ირლანდიელი ფეხბურთელი „წითელ ეშმაკებს" 1993 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან", მაშინ პრემიერლიგისთვის სარეკორდო თანხად, 3,75 მილიონ გირვანქად შეუერთდა.

კინმა თავისი თვისებები მალევე გამოავლინა და ნელ-ნელა მანჩესტერელთა უცვლელ ფეხბურთელად იქცა, ბოლო რვა წლის მანძილზე იგი გუნდის კაპიტანიც გახლდათ. გუშინ კი, ყველასთვის მოულოდნელად, მხარეებმა კონტრაქტი გაწყვიტეს და ახლა 34 წლის ირლანდიელს შეუძლია, ახალი კლუბი მოძებნოს. კინის წასვლა გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ზაფხულამდე ამას ცოტა ვინმე თუ ელოდა.

„ჩვენ როი კინთან შეთანხმებას მივაღწიეთ. მას შეუძლია, ნებისმიერ კლუბში გადაბარგდეს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. კლუბი დიდ მადლობას უხდის როის ყველაფრისთვის, რაც მან წლების მანძილზე გააკეთა" — ნათქვამია „მანჩესტერის" ოფიციალურ პრესრელიზში.

„მანჩესტერის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი: „როი კინი ჩვენი ერთ-ერთი შეუცვლელი და ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. იგი თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესო გახლდათ და ფეხბურთის ისტორიაშიც უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი. როი ბოლო 12 წელიწადში ჩვენი წარმატებების მთავარი შემოქმედი გახლდათ და მთელი გუნდის სახელით მას ყველაფერ კარგს ვუსურვებ".

თავად როი კინმა განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივი იყო, ბოლო 12 წლის მანძილზე „მანჩესტერში" თამაში. მსოფლიოს გამორჩეული ფეხბურთელების გვერდით და საუკეთესო ფანების წინაშე ყოფნამ ბედნიერება მომანიჭა, ყოველთვის ვცდილობდი, კლუბისთვის მაქსიმუმი გამეღო და თავი არასდროს დამიზოგავს. ასეთი დიდი გუნდის დატოვება მიწევს, მაგრამ ვფიქრობ, ახლა ამისთვის შესაფერისი დროა. „მანჩესტერს" და მის ქომაგებს წარმატებებს და უამრავ ტიტულს ვუსურვებ".

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 90-იანი წლების „მანჩესტერიდან", რომელიც მთელ საფეხბურთო სამყაროს, განსაკუთრებით კი ინგლისს შიშის ზარს სცემდა, კლუბში მხოლოდ სამი წევრი დარჩა — მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, ნახევარმცველი პოლ სქოულზი და უელსელი გარემარბი რაიან გიგზი. ალბათ, თავადაც მოგეხსენებათ, რომ არც ისე შორია ის დრო, როდესაც „ოლდ ტრეფორდს" ეს სამეულიც დატოვებს.

ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ — 90-იანი წლების „მანჩესტერ იუნაიტედის" დიდადი ეპოქა დასრულდა...

**კოკი კანდელაკი**



# იუვეს სიცილიური ტრიო

## ნედვედის ოცნება ლიგაა

**იტალიური** „პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ, აღნიშნა, რომ მისი კლუბი მზადაა, ზაფხულში „იუვენტუსს" წამყვანი ფეხბურთელები დაუთმოს, თუ ტურინელთაგან სათანადო კომპენსაციას მიიღებს. მოგეხსენებათ, საუბარია ანდრეა ბარძალისა და სიმონე ბარონეს ტრანსფერზე. წუხელ კი გავრცელდა ცნობა ფაბიო გროსის „დელ ალპიზე" შასაძლო გადასვლაზეც.

„ბებერი ქალბატონი" აპირებს, სიცილიელებს გარკვეულ თანხასთან ერთად მანუელე ბლაზი და ანტონიო მირანტე შესთავაზოს. „პალერმოს" კი განსაკუთრებით ეს უკანასკნელი აინტერესებს — მირანტე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ ითვლება და ამჟამად „სიენაშია" განათხოვრებული.

„ტურინელებს უკვე ვესაუბრეთ მირანტეს შესახებ, რომელიც მართლაც ძალიან გვაინტერესებს. გარდა ამისა, მათ კიდევ რამდენიმე მოთამაშეს ვაკვირდებით და ვიცით, რომ „იუვენტუსს" დიდი სიმპათიები აქვს ბარძალის, ბარონესა და გროსოსადმი. ასე რომ, არაფერს გამოვრიცხავ" — თქვა ძამპარინიმ.

„იუვენტუსის" თემა პაველ ნედვედით განვაგრძოთ, რომელიც ჩეხეთის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაში დაეხმარა და ახლა მუნდიალზე თამაშზეც ფიქრობს, თუმც უმთავრეს მიზნად ახლა ჩემპიონთა ლიგის მოგებას ისახავს.

პაველ ნედვედი: „არ გამოვრიცხავ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო. თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე იქ მოხვედრის შანსი არ მომცემია. თუმც საბოლოო გადაწყვეტილებას ამ სეზონის ბოლოს მივიღებ. ახლა კი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობ. ამ ჯილდოს მოგება ჩემი მთავარი მიზანი იყო ჯერ კიდევ 2001 წელს, როდესაც „იუვენტუსში" გადმოვედი".

**კოკი კანდელაკი**

# ლიპი ბრაზილიას ხედავს



მარჩელო ლიპი

**„სკუადრა აძურას"** თავკაცმა მარჩელო ლიპიმ თავისი ოცნება გაამხილა — მას სურს, რომ მომავალი მუნდიალის ფინალში ბრაზილიის ნაკრებს შეხვდეს და დაამარცხოს. აპენინურმა პრესამ კი პასუხი არ დააყოვნა — თუ ასეთ მაღალ დონეზე თამაშზე ოცნებობთ, ჯერ კოტ დივუარის დარ გუნდებს მოუგეთ.

მოგეხსენებათ, იტალიელები კოტ დივუარს გასულ ოთხშაბათს ამხანაგურად გაეჯიბრნენ და სამპდორიელ აიმო დიანას რომ არ ეყოჩალა, ისტორიაში პირველად დამარცხდებოდნენ „შავი კონტინენტის" წარმომადგენლებთან.

„კოტ დივუარი საკმაოდ ძლიერი ნაკრებია და გასაკვირი არ არის, რომ მისი ძლევა ვერ შევძელით. თანაც საკმად ექსპერიმენტული შემადგენლობით ვთამაშობდით. თუმც, სანერვიულო არაფერია. პირიქით, მიხარია, რომ არჩევანი ფართოა, განსაკუთრებით თავდასხმაში. ვეცდები, ისეთი მოთამაშეები ავირჩიო, რომლებიც მაქსიმალურად დაიმსახურებენ ნაკრებში ადგილს" — განაცხადა ლიპიმ.

ბრაზილიასთან ფინალს რაც შეეხება, ასეთი რამ უკვე ყოფილა — 1970 წელს პელეს ცნობილ ნაკრებთან და 1994 წელს რობერტო ბაჯოს მიერ აცილებული გადამწყვეტი პენალტის მერე სამხერთამერიკელებთან მარცხი აპენინებზე დღემდე მწარედ ახსოვთ.

მარჩელო ლიპი: „ასეთი ოცნება ყველასთვის სასიამოვნოა. ფინალში ბრაზილიელებთან მოგება საუკეთესო ვარიანტი იქნება. მათ ყველა მუნდიალის მთავარ ფავორიტად მიიჩნევს და ნებისმიერი ნაკრები იგივეს ისურვებდა. პენტაკამპეონთა შემდეგ ჩვენს მთავარ კონკურენტად არგენტინას მივიჩნევ".

**კოკი კანდელაკი**

## არგენტინა

### აპერტურა. XV ტური

კილმესი — ხიმნასია (ლ) 0:1; რასინგი — ხიმნასია (ხ) 3:3; ბანფილდი — ლანუსი 1:1; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 1:1; ოლდ ბოისი — ინსტიტუტო 5:0; არსენალი — ბოკა ხუნიორსი 4:1; კოლონი — როსარიო 2:0; რივერ პლეიტი — სან ლორენსო 5:1; ტირო ფედერალი — არგ. ხუნიორსი 1:4; ველესი — ოლიმპო 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხიმნასია (ლ) | 15 | 10 | 1 | 4 | 23:16 | 31 |
| ველესი | 15 | 9 | 2 | 4 | 20:10 | 29 |
| ბოკა ხუნიორსი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:15 | 28 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 7 | 6 | 2 | 27:17 | 27 |
| რივერ პლეიტი | 15 | 8 | 2 | 5 | 28:16 | 26 |
| ესტუდიანტესი | 15 | 8 | 2 | 5 | 19:13 | 26 |
| არგ. ხუნიორსი | 15 | 7 | 3 | 5 | 17:14 | 24 |
| ბანფილდი | 15 | 4 | 10 | 1 | 18:13 | 22 |
| სან ლორენსო | 15 | 6 | 4 | 5 | 26:27 | 22 |
| ოლიმპო | 15 | 4 | 8 | 3 | 14:15 | 20 |
| კოლონი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:22 | 19 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 18:19 | 18 |
| კილმესი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:18 | 17 |
| ოლდ ბოისი | 15 | 4 | 4 | 7 | 20:22 | 16 |
| ლანუსი | 15 | 3 | 7 | 5 | 14:23 | 16 |
| როსარიო | 15 | 4 | 4 | 7 | 14:25 | 16 |
| რასინგი | 15 | 4 | 3 | 8 | 20:24 | 15 |
| ხიმნასია (ხ) | 15 | 2 | 6 | 7 | 18:26 | 12 |
| ინსტიტუტო | 15 | 2 | 6 | 7 | 8:22 | 12 |
| ტირო ფედერალი | 15 | 3 | 1 | 11 | 18:27 | 10 |

## ბრაზილია

### სერია A. XXXIX ტური

სანტოსი — პარანა 0:0; ინტერნასიონალი — ბრაზილიენსე 1:0; ფიგეირენსე — ვასკუ და გამა 5:1; სან კაეტანო — კორინთიანსი 1:0; ფლამენგო — ფორტალეზა 3:0; პალმეირასი — ჟუვენტუდე 3:2; გოიასი — სან პაულუ 3:0; პაისანდუ — ბოტაფოგო 2:0; კურიტიბა — პონტე პრეტა 2:1; ფლუმინენსე — ატლ. მინეირო 0:2; კრუზეირო — ატლ. პარანენსე 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 39 | 23 | 8 | 8 | 81:54 | 77 |
| ინტერნასიონალი | 39 | 22 | 8 | 9 | 69:46 | 74 |
| გოიასი | 39 | 21 | 7 | 11 | 64:47 | 70 |
| ფლუმინენსე | 39 | 19 | 11 | 9 | 75:60 | 68 |
| პალმეირასი | 39 | 18 | 10 | 11 | 71:59 | 64 |
| კრუზეირო | 39 | 17 | 9 | 13 | 71:65 | 60 |
| პარანა | 39 | 16 | 10 | 13 | 56:47 | 58 |
| ატლ. პარანენსე | 39 | 17 | 6 | 16 | 70:60 | 57 |
| სანტოსი | 39 | 15 | 11 | 13 | 65:66 | 56 |
| ბოტაფოგო | 39 | 15 | 8 | 16 | 52:53 | 53 |
| სან პაულუ | 39 | 14 | 10 | 15 | 70:63 | 52 |
| ჟუვენტუდე | 39 | 13 | 10 | 16 | 61:67 | 49 |
| ფორტალეზა | 39 | 14 | 7 | 18 | 52:61 | 49 |
| ვასკუ და გამა | 39 | 13 | 10 | 11 | 67:83 | 49 |
| ფლამენგო | 39 | 12 | 12 | 15 | 51:59 | 48 |
| პონტე პრეტა | 39 | 14 | 6 | 19 | 57:70 | 48 |
| სან კაეტანო | 39 | 13 | 8 | 18 | 48:56 | 47 |
| ფიგეირენსე | 39 | 12 | 11 | 16 | 58:67 | 47 |
| კურიტიბა | 39 | 12 | 9 | 18 | 49:58 | 45 |
| პაისანდუ | 39 | 12 | 5 | 22 | 60:81 | 41 |
| ატლ. მინეირო | 39 | 11 | 7 | 21 | 50:58 | 40 |
| ბრაზილიენსე | 39 | 9 | 11 | 19 | 45:62 | 38 |

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## რეალი — ბარსელონა

დღეს. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". 23.00 საათი

| რეალი | ბარსელონა |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, ს. რამოსი, ელგერა, რ. კარლოსი, ბექემი, პ. გარსია, ზიდანი, ჟულიო ბაპტისტა, რაული, რონალდო. მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო | ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ედმილსონი, სილვინიო, ხავი, მარკესი, დეკო, ჟიული, რონალდინიო, ეტოო. მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი |

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი

# კატალომია მადრიდში
## ეტოოს კოშმარი არ ასცდება




რონალდომ ტრავმა მოიშუშა, სამუელ ეტოოს კი მადრიდელები შარშანდელს გაუხსენებენ

...**როცა** ჟურნალისტებმა რონალდოს უთხრეს, რონალდინიომ „ელ კლასიკოში" თქვენი მონაწილეობა ინატრა, აქაოდა „კიჭას" გარეშე „რეალთან" ომს ხიბლი დაეკარგებაო, „რეალის" ბრაზილიელმა ბოროტად იხუმრა, ნეტავ, ის მანახა, ბარსელონელები „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემი ბურთაობით საბოლოოდ თუ დარჩებიან გახარებულებიო. მოკლედ, დღეს მადრიდში მსოფლიოში განთქმული მორიგი „ელ კლასიკოა".

„სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსელონა" 76-ედ ჩავა და თუ ფრანკ რაიკარდს ვენდობით, მომხდურებმა ბოლო ორი წლის ბალანსი თავიანთ სასარგებლოდ უნდა დაარღვიონ — ჰოლანდიელის თავკაცობით „ბარსამ" შარშანწინ მადრიდში 2:1 მოიგო, შარშან კი 2:4 დამარცხდა.

„ჩვენ წინა სეზონის შეცდომებს გავითვალისწინებთ და მეტოქეს ასე იოლად არ ვაჯირითებთ" — განაცხადა ფრანკ რაიკარდმა კატალონიურ „სპორტთან" ინტერვიუში.

„სპორტის" ჟურნალისტი მწვრთნელს იმასაც შეეკითხა — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ, ნუთუ ასეთ დროს გული მოედნისკენ არ გიწევთო? „კარგა ხანს ვიყავი მსოფლიოს არენებზე. ახლა მწვრთნელი ვარ და მარტო სადამრიგებლო საქმეზე ვფიქრობ" — მკვახედ მოუჭრა ჰოლანდიელმა.

ამასობაში, „მარკამ" გამოკითხვა ჩაატარა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს სავარაუდო შედეგზე დაეკითხა. მიხვდებით, ორივე მხარე მხოლოდ მოგებას წინასწარმეტყველებს — პორტუგალიელი დეკო ფიქრობს, რომ 3:1 დაჩაგრავენ მეტოქეს, იკერ კასილიასი 4:1-ს ვარაუდობს, სილვინიო სტუმრებს დაძაბულ ჯახში 4:3-ს ამარჯვებინებს, რონალდო 3:0-ს ამბობს, აქედან ორს მე შევაგდებო, რონალდინიომ კი 2:0 თქვა.

ძალიან რომ ნატრობდა „ბარსელონას" ყოჩი, „ბერნაბეუზე" რონალდოსთან ბრძოლა მინდაო, აუხდება კიდეც — „რეალის" ფორვარდმა ტრავმა მოირჩინა და თავის ყოფილ გუნდთან აუცილებლად ითამაშებს. შარშან რონალდომ „ბარსელონას" ერთი ბურთი გაუტანა, ახლა კი უფრო მეტჯერ აპირებს ვიქტორ ვალდესის გამწარებას.

„ელ კლასიკოში" მადრიდელთაგან მონაწილეობას ჟულიო ბაპტისტა, ივან ელგერა და დევიდ ბექემიც მიიღებენ. თითოეული მათგანი ტრავმირებული იყო, მაგრამ „ბარსელონას" მოლოდინში დაფაცურდნენ და მოკეთდნენ. არ იქნება მხოლოდ ხოსე მარია გუტი, რომელმაც მატჩისწინა ვარჯიშზე მუხლი დაიშავა და კატალონიელებთან ჯახის გამოტოვება მოუწევს.

ცალკე სალაპარაკო თემაა რობინიო-ლეომესის დუელი. „რეალის" ბრაზილიელს და „ბარსელონას" არგენტინელს შაბათს ძირითადში ვერ ვნახავთ, მაგრამ მაგრამ ქომაგები მეორე ტაიმში დატკბებიან სამხრეთამერიკელების შერკინებით და ბოლოს და ბოლოს გადაწყდება, ამ ორი ყმაწვილიდან რომელია უკეთესი.

„რეალის" ფანებმა კი ფიცი დადეს, სამუელ ეტოოს, ჩვენს ყოფილ ფორვარდს ნამდვილ ჯოჯოხეთს მოვუწყობთო. რატომ? გეხსომებათ, გასულ სეზონში „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" ჩემპიონობას რომ ზეიმობდა, ეტოომ მიკროფონში შვიდჯერ იყვირა — მადრიდელო ნაბიჭვრებო, ნამდვილ ჩემპიონებს მიესალმეთო.

„ბარსაში" ტრავმირებულ მარკ ვან ბომელს ტიაგო მოტა შეცვლის. მადრიდელთაგან კი, შუ ხაზში დანიელ თომას გრავესენსა და ინგლისელ ჯონათან ვუდგეიტს ვერ ვიხილავთ.

დღეს „ბარსელონა" და „რეალი" პრიმერადივიზიონის ცხრილში გვერდიგვერდ არიან — კატალონიური არმადა მეორეზეა, კასტილიური კი მესამეზე.

ერთი სიტყვით, დღეს „რეალი" — „ბარსელონაა"...

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ხეტაფე | : | ოსასუნა |
| სევილია | : | ბეტისი |
| ვილიარეალი | : | სარაგოსა |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | : | ალავესი |
| კადისი | : | ვალენსია |
| სელტა | : | ატლეტიკო |
| ესპანიოლი | : | მალიორკა |
| მალაგა | : | სოსიედადი |
| რასინგი | : | დეპორტივო |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსასუნა | 11 | 8 | 0 | 3 | 16:11 | 24 |
| ბარსელონა | 11 | 6 | 4 | 1 | 27:11 | 22 |
| რეალი | 11 | 7 | 0 | 4 | 22:11 | 21 |
| სელტა | 11 | 6 | 2 | 3 | 14:11 | 20 |
| ვილიარეალი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 19 |
| სევილია | 11 | 4 | 5 | 2 | 10:6 | 17 |
| დეპორტივო | 11 | 4 | 5 | 2 | 14:12 | 17 |
| ხეტაფე | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 17 |
| ვალენსია | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| სოსიედადი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:21 | 16 |
| ატლეტიკო | 11 | 4 | 3 | 4 | 11:10 | 15 |
| კადისი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:11 | 13 |
| მალაგა | 11 | 3 | 3 | 5 | 15:14 | 12 |
| მალიორკა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:19 | 12 |
| რასინგი | 11 | 2 | 5 | 4 | 6:8 | 11 |
| სარაგოსა | 11 | 1 | 7 | 3 | 12:15 | 10 |
| ბეტისი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:18 | 10 |
| ესპანიოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:14 | 9 |
| ალავესი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | 8 |
| ბილბაო | 11 | 1 | 4 | 6 | 11:16 | 7 |

# თუკი თერთმეტი ერთის ტოლია

დღეს მადრიდში „ელ კლასიკოა", ანუ „რეალის" დაცვას „ბარსელონას" ფორვარდებისგან ისეთივე დიდი ხიფათი ელის, როგორიც „ბარსას" დაცვას „რეალის" ფორვარდებისგან.

და, ვინ არის „რეალის" დაცვის ცენტრალური ფიგურა? ივან ელგერა, ფეხბურთელი, რომელიც მოედნის შუიდან უკან ოთხი წლის წინ დაწიეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოთხი წლის წინ „ესპანიოლის" ყოფილ ნახევარმცველს აპენინებზე ყველაზე მძიმე საფეხბურთო საქმე დაავალეს — ესპანეთში, სადაც მთელი ქვეყანა შეტევაზეა მომართული და ეს საქმე საუცხოოდ გამოუდის, ამ ხალხის შეჩერება მიუსაჯეს

**— როგორია მადრიდის „რეალში" ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაში?**

— ვფიქრობ, ცენტრალური მცველის პოზიცია ნებისმიერ გუნდში უმძიმესია, რადგან საკმარისია ერთი შეცდომა მოგივიდეს, ბურთს ხელად შენს კარში ნახავ. ისე კი, შესაძლოა, „რეალში" ცენტრალურ მცველად თამაში მართლაც უფრო რთული იყოს, ვინაიდან ჩვენი გუნდი სულ უტევს და, შესაბამისად, შუა მცველები მუდმივი რისკის წინაშე დგანან. მერედა, „რეალში" რომ თამაშობ, პასუხისმგებლობაც საგანგებო გეკისრება. პლუს, ამ გუნდის ცენტრალური მცველი მრავალი ფუნქციის მქონე მოთამაშე უნდა იყოს. დაცვა დაცვად და, ბურთს რომ მოიპოვებ, წინ გონივრულად უნდა წაიღო ან გადააწოდო, რისთვისაც საჭიროა მუდმივად იმის საქმის კურსში იყო, თუ რა ხდება და როგორი თამაში მიდის ცენტრს გადაღმა. ერთი სიტყვით, უამრავი რამ უნდა გაითვალისწინო და ამისთვის მენტალური სიძლიერე გმართებს. ფუნქცია ურთულესია, ოღონდ, გეთანხმებით, შესაძლოა, მისთვის თავის გართმევა მადრიდში მართლაც უფრო ძნელი იყოს.



**— ცენტრში თამაშიც არის და ცენტრში თამაშიც. როგორც შუა მცველს რომელი ფლანგის კონტროლი გირჩევნიათ, მარჯვენასი თუ მარცხენასი?**

— მართალი გითხრათ, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს შორის დიდი განსხვავება არ არის. ერთი ეგაა, რობერტო კარლოსს წინ ხშირად უყვარს წასვლა და ამის გამო მარცხნივ უფრო დიდი ფართობის დაზღვევა მიწევს ხოლმე. მარჯვნივაც, როდესაც მიჩელ სალგადო უტევს, ზუსტად იგივე ხდება, თუმცა, ჯერ ერთი, რომ მიჩელი ამას უფრო იშვიათად აკეთებს და მეორეც, ვფიქრობ, როგორც მცველი, ის რობერტო კარლოსზე ძლიერია.

**— დაცვაში წარმატებით თამაშის საიდუმლოს ხომ არ გაგვანდობდით?**

— გასულ სეზონში ცოტა გოლი გავუშვით და საბედნიეროდ, ჯერჯერობით ახლაც ისევე მივდივართ. დაცვაში კარგი შედეგისთვის კი მთელმა გუნდმა სწორედ უნდა იმოქმედოს. ხომ იცით, ფეხბურთი გუნდური თამაშია. ჩოგბურთში თუ კარგად ითამაშებ, მოიგებ, აქ კი, თანაგუნდელებზე ხარ თავიდან ბოლომდე დამოკიდებული და იმისთვის, რომ გუნდმა გაიმარჯვოს, ყველამ კრაგად და სწორად უნდა ითამაშოს. მეტიც, როდესაც ყველა სწორად თამაშობს, მოგება იოლია.

**— როდესაც შესაძლებლობა გეძლევათ, თქვენც უტევთ...**

— ექვს სეზონში 33 გოლის გატანა, აქედან თხუთმეტისა ჩემპიონათა ლიგაში, ცენტრალური მცველისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თან ყოველთვის, როდესაც დაცვას ვტოვებ და წინ მივდივარ, გული საგულეს მაქვს, რადგან ვიცი, ჩვენთან ისეთი ფეხბურთელები არიან, რომლებიც კონტრშეტევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოეგებიან გონს და დაგაზღვევენ. სულ ერთი-ორჯერ თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემი შეტევის დროს მეტოქეს ბურთი უხელთია და გოლი გაუტანია. დღეს, პაბლო გარსია მაზღვევს ჩინებულად. ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი, ჩემი აზრით, 2002 წლის 10 აპრილს, მიუნხენის „ბაიერნს" გავუტანე „სანტიაგო ბერნაბეუზე". იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ჩემ გოლთა შორის ყველაზე ლამაზი იყო, მაგრამ მან ნახევარფინალში გაგვიყვანა და საერთოდაც, ის სეზონი ჩემთვის დიდებული იყო.

**— 2003 წელს „რეალიდან" ლეგენდარული ფერნანდო იერო წავიდა. ძალიან ძნელი იყო მისი წასვლით დატოვებული სიცარიელის ამოვსება?**

— მართალია, იერო ესპანელ მცველთა შორის ყველა დროის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად გახლდათ და მართალია, მისი შემცვლელის პოვნაც დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ „რეალის" თამაშში ბევრიც არაფერი შეცვლილა. ვფიქრობ, სერხიო რამოსის და ჯონათან ვუდგეიტის ხელში არაფერი გვაკლია და პლუს, გვყავს საკუთრივ „რეალის" აღზრდილები, ფრანსისკო პავონი და ალვარო მეხია.

**— და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, ჩემპიონთა ლიგა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შეიცვალა?**

— ჯერ ერთი, დღეს მასში მონაწილეთაგან გამარჯვების შანსი უფრო მეტს აქვს და მეორეც, ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში მოულოდნელობების მოწმენი გავხდით. ახლა, გამარჯვებისთვის ძლიერი ინდივიდუალისტებისგან შექმნილი ძლიერი გუნდია საჭირო. მერედა, ბოლო წლებმა რამდენიმე ახალი მწვრთნელის სახელიც ამოსწია. ეს მწვრთნელები მოთამაშეთა სიმძლავრით ბლოკების შექმნას აქცევენ დიდ ყურადღებას და შესაბამისად, თამაშის ფიზიკური მხარე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ყოველივე ამის გამო კი, დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი გუნდის ყოლა, სადაც თერთმეტივე ფეხბურთელი ერთი ადამიანივით მოქმედებს.

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | : | მესინა |
| რომა | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| კიევო | : | ასკოლი |
| ფიორენტინა | : | მილანი |
| ლეჩე | : | სიენა |
| ლივორნო | : | ემპოლი |
| რეჯინა | : | კალიარი |
| სამპდორია | : | ლაციო |
| ინტერი | : | პარმა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 11 | 10 | 0 | 1 | 22:5 | 30 |
| მილანი | 11 | 9 | 1 | 1 | 26:9 | 28 |
| ფიორენტინა | 11 | 8 | 1 | 2 | 24:12 | 25 |
| ინტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:10 | 20 |
| კიევო | 11 | 5 | 4 | 2 | 15:11 | 19 |
| რომა | 11 | 5 | 3 | 3 | 17:10 | 18 |
| სამპდორია | 11 | 5 | 2 | 4 | 21:17 | 17 |
| ემპოლი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:15 | 17 |
| პალერმო | 11 | 4 | 4 | 3 | 17:16 | 16 |
| ლაციო | 11 | 4 | 4 | 3 | 13:13 | 16 |
| ლივორნო | 11 | 4 | 3 | 4 | 9:15 | 15 |
| სიენა | 11 | 4 | 2 | 5 | 18:20 | 14 |
| უდინეზე | 11 | 4 | 2 | 5 | 12:16 | 14 |
| პარმა | 11 | 3 | 3 | 5 | 12:17 | 12 |
| ასკოლი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | 11 |
| რეჯინა | 11 | 3 | 0 | 8 | 10:18 | 9 |
| მესინა | 11 | 1 | 5 | 5 | 10:17 | 8 |
| ტრევიზო | 11 | 1 | 3 | 7 | 5:16 | 6 |
| კალიარი | 11 | 0 | 5 | 6 | 7:17 | 5 |
| ლეჩე | 11 | 1 | 1 | 9 | 5:21 | 4 |

# იტალია

*პაპუნა კედია*

# ბრაზი

## იბრა უბრალოდ არაფერს ტოვებს



„მილანს" ანდრეი შევჩენკო უბრუნდება

**ტურინის** „იუვენტუსი" დღეს „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომას" ეთამაშება. როგორ ფიქრობთ, საინტერესო მატჩი იქნება? ტურინელთა შვედი თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი აცხადებს, რომ ამ მატჩში რომაელები „იუვეს" ისეთსავე წინააღმდეგობას გაუწევენ, როგორსაც „ასკოლი" გაუწევდა...

იბრაჰიმოვიჩი მძიმე ხასიათის ადამიანად არის ცნობილი და მასზე ან მის გუნდზე საწყენს რომ იტყვიან, იოლად ვერ ივიწყებს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ შვედმა ამ სიტყვებით რომაელთა გამონათქვამებზე თავისი და თანაგუნდელების წილი პასუხი გასცა.

„შაბათს გავიმარჯვებთ ჩვენ, რადგან უფრო ძლიერი გუნდი ვართ" — თქვა მან იმ ერთკვირიანი კბენების პასუხად, „ჯალოროსის" ბანაკიდან რომ ისმოდა.

და, რატომ „იკბინებოდნენ" რომაელები? იმიტომ, რომ „იუვენტუსის" თავკაცი ფაბიო კაპელო ამ წელიწადნახევრის წინ მათი მწვრთნელი გახლდათ, როდესაც სრულიად მოულოდნელად, სეზონის დასრულების შემდეგ ქუდი დაიხურა და ტურინში გადაბარგდა, რასაც შემდეგ ის მოჰყვა, რომ თან ორი რომაელი ფეხბურთელი, ჯონათან ძებინა და ემერსონი წაიყვანა. მოგეხსენებათ, რომაელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი კაპელოს ამ „გაქცევას" ვერ ივიწყებს და როდესაც საშუალება ეძლევა, მწარე-მწარეებს ამბობს. ამჯერად, ტოტის გარდა მწარეები არგენტინელმა მცველმა ლეანდრო კუფრემაც ილაპარაკა.

ჟურნალისტებმა ბუნებრივია, კომენტარებისთვის დაუყოვნებლივ მიაშურეს „იუვენტუსის" ბანაკსაც, მაგრამ მოთამაშეთა უმეტესობამ მათთან საუბარს თავი აარიდა, 24 წლის იბრაჰიმოვიჩმა კი უკან არ დაიხია.

„სერია A-ში იოლი თამაშები არ არის, მაგრამ ამ კონკრეტული მატჩის წინ ღამით მშვენივრად გამოვიძინებთ", — თქვა მან.

და მაინც, „იუვენტუსს" წინაშე პრობლემებია. თუნდაც ის, რომ გუნდის 14 ფეხბურთელი წინა კვირის განმავლობაში ეროვნულ ნაკრებებში იყო გაწვეული და იტალიაში ახალდაბრუნებულია. ჩეხეთის ნაკრების საპლეიოფო ბრძოლებიდან დაბრუნებულ პაველ ნედვედს, თურმე, ყველაზე მეტად ეტყობა გადაღლა, მაგრამ როგორც ამბობენ, რომში მაინც ითამაშებს.

რაც შეეხება „რომას", მას ნაკრებებში მხოლოდ ექვსი კაცი ჰყავდა გაშვებული, პლუს, ფრანჩესკო ტოტი და დანიელე დე როსი, ოღონდაც მათ მცირე ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

„მილანი" კი ჩემპიონატში ზედიზედ მეცხრე გამარჯვების მოსაპოვებლად ფლორენციაში ჩადის, მაგრამ მესამეზე მყოფ გუნდთან მის მოედანზე თამაში დიდ სირთულეებთან, კერძოდ კი, საუცხოო ფორმაში მყოფ ფორვარდ ლუკა ტონის გაჩერებასთან იქნება დაკავშირებული. რამდენადაც იტალიურ წყაროებში წერენ, კახა კალაძის ძირითადში თამაში არც ამ შეხვედრაშია მოსალოდნენლი, რაც ქართველი ქომაგისთვის ცხადია უსიამოვნოა. სამაგიეროდ, „მილანის" მწვრთნელისთვის, კარლო ანჩელოტისთვის არის სასიამოვნო ის, რომ მერვე ტურის შემდეგ პირველად, მოედანს უბრუნდება ანდრეი შევჩენკო, რომელიც სავარაუდოდ, ალბერტო ჯილარდინოსთან ერთად წყვილში გავა მოედანზე.

ხოლო „ინტერი" „პარმას" მასპინძლობს და ძალიან კარგად იცის, რომ შარშანდელივით 2:2-ის თამაში დაუშვებელია. „პარმა" ამ სეზონში ძლიერი გუნდი ნამდვილად არაა, „ინტერმა" კი ქომაგებს, „სამპდორიასა" და „ლაციოსთან" ზედიზედ ორი ფრით ფრიად გაუტეხა გული.

ხოლო იმ „ასკოლის", რომელიც ნებით თუ უნებლიედ შემოელანძღა ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მეხუთე პოზიციაზე მყოფი „კიევო" უმასპინძლებს.

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უიგანი | : | არსენალი |
| ჩარლტონი | : | მანჩესტერი |
| ჩელსი | : | ნიუკასლი |
| ლივერპული | : | პორტსმუთი |
| სიტი | : | ბლექბერნი |
| სანდერლენდი | : | ასტონ ვილა |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ევერტონი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | : | ფულემი |
| **ზეგ** | | |
| ბირმინგემი | : | ბოლტონი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 12 | 10 | 1 | 1 | 28:7 | 31 |
| უიგანი | 11 | 8 | 1 | 2 | 13:5 | 25 |
| ბოლტონი | 12 | 7 | 2 | 3 | 14:11 | 23 |
| მანჩესტერი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:11 | 21 |
| არსენალი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:8 | 20 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 5 | 2 | 13:8 | 20 |
| სიტი | 12 | 6 | 2 | 4 | 14:10 | 20 |
| ჩარლტონი | 11 | 6 | 1 | 4 | 16:14 | 19 |
| ვესტ ჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| ნიუკასლი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:10 | 18 |
| ბლექბერნი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:15 | 17 |
| ლივერპული | 10 | 4 | 4 | 2 | 9:8 | 16 |
| მიდლსბრო | 12 | 4 | 3 | 5 | 15:16 | 15 |
| ფულემი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:16 | 12 |
| პორტსმუთი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:15 | 10 |
| ევერტონი | 11 | 3 | 1 | 7 | 4:12 | 10 |
| ასტონ ვილა | 12 | 2 | 3 | 7 | 10:21 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:22 | 8 |
| ბირმინგემი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:17 | 6 |
| სანდერლენდი | 12 | 1 | 2 | 9 | 11:24 | 5 |

# ინგლისი

*ვაჟა ხუციშვილი*

# მაურინიუმ მზე მიატოვა



ჟოზე მაურინიუმ სამშობლოში დაისვენა

**ორკვირიანმა** შესვენებამ „ჩელსის" სულზე მოუსწრო — გუნდმა მიჯრით ორი შეხვედრა („ბეტისი", „მანჩესტერ იუნაიტედი") წააგო და ამას მოჰყვა 14-დღიანი უქმობა. ჟოზე მაურინიუმ შვებულება სამშობლოში გაატარა და მზეს ეფიცხებოდა.

„მანჩესტერ იუნაიტედთან" მარცხის მიუხედავად, „ჩელსი" ჩემპიონობის უდავო ფავორიტია. ლონდონელები დღეს „ნიუკასლს" მასპინძლობენ, რომელმაც მაიკლ ოუენის შეძენის შემდეგ, შეტევაში თამაში გააუმჯობესა და ცხრილშიც ნელ-ნელა ზევით მიიწევს. ოუენმა არგენტინასთან ამხანაგურ მატჩში დუბლი შეასრულა და ინგლისელი ფორვარდის შეჩერება ჩელსელი მცველების მთავარი საზრუნავი იქნება. „ნიუკასლს" არ ეყოლება ტრავმირებული კაპიტანი ალან შირერი, იგი ნაოპერაციევია და ჯერ არ გამოკეთებულა.

მასპინძლები კი არიენ რობენის გამოჯანმრთელებას ელიან. ჰოლანდიელმა ლეგიონერმა შესაძლოა, დღეს ითამაშოს.

„არსენალი" პრემიერლიგის გუნდ-სიურპრიზ „უიგანს" ეწვევა. „უიგანმა" მიჯრით ექვსი მატჩი მოიგო და ახლა მეორე ადგილზე ნებივრობს. „მეთოფეებს" ეშლი კოული ხომ დაშავებული ჰყავდათ, მისი შემცვლელი გაელ კლიჩიც სამკურნალო გახდა და მარცხენა მცველობას, ალბათ, პასკალ სიგანი გასწევს.

მასპინძელთა გუნდში მცველ სტივ მაკმილანის თამაში საეჭვოა. ფორვარდი დევიდ კონოლი მომჯობინდა და, ალბათ, სათადარიგოებში იქნება, ხოლო ავსტრალიელ იოსიპ სკოკოს ურუგვაისთან დამღლელი პლეი ოფის შემდეგ ერთკვირიანი დასვენება გამოუწერეს.

„ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა „პორტსმუთთან" მატჩის წინ აყლაყუდა პიტერ კროუჩი დაარიგა: „ის ძალიან მშვიდი ბიჭია, მაგრამ ასეთი თამაშით გოლს ვერ გაიტანს. კროუჩს მეტი აგრესიულობა მართებს".

„პორტსმუთის" ალენ პერენს, ალბათ, მალე მოხსნიან. ამის შესახებ კლუბის პატრონმა, სერბმა მილიონერმა მილან მანდარიჩმა განაცხადა. პორტსმუთელებს ჯერ „ლივერპული", შემდეგ კი „ჩელსი" ელით და საეჭვოა, რომ პერენმა ამ მატჩებში ქულა აიღოს. მანდარიჩმა თქვა, „ლივერპულთან" შეხვედრის მერე გადავწყვეტ მწვრთნელის ბედსო.

„ლივერპულის" მეტოქეს კაპიტანი დეჯან სტეფანოვიჩი, სალიფ დიაო და ბულგარელი ფორვარდი სვეტოსლავ ტოდოროვი დააკლდება. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან ურუგვაელი მეგოლე დარიო სილვა და სერბი ნახევარმცველი ზვონიმირ ვუკიჩი. თავდამსხმელი ლომანა ტრეზორ ლუა ლუა მალარიისგან გამოკეთდა, მაგრამ ჯერ, ალბათ, სათადარიგოებში დასვამენ.

| 16077 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.40 | 2.45 |
| 16078 | კიოლნი-შალკე | 2.25 | 1.45 |
| 16080 | მაინცი-აინტრახტი | 1.45 | 2.25 |
| 16081 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.00 |
| 16082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.20 | 3.40 |
| 16083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.12 | 4.80 |
| 16084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.30 | 2.85 |
| 16140 | უდინეზე-მესინა | 1.15 | 3.70 |
| 16141 | რომა-იუვენტუსი | 2.00 | 1.60 |
| 16142 | კიევო-ასკოლი | 1.25 | 3.00 |
| 16143 | ფიორენტინა-მილანი | 1.90 | 1.60 |
| 16144 | ლეჩე-სიენა | 1.55 | 2.00 |
| 16145 | ლივორნო-ემპოლი | 1.35 | 2.60 |
| 16146 | რეჯინა-კალიარი | 1.45 | 2.30 |
| 16147 | სამპდორია-ლაციო | 1.35 | 2.60 |
| 16150 | ინტერი-პარმა | 1.05 | 5.60 |
| 16182 | ბილბაო-ალავესი | 1.30 | 2.70 |
| 16183 | კადისი-ვალენსია | 1.90 | 1.60 |
| 16184 | სელტა-ატლეტიკო | 1.55 | 2.00 |
| 16185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.45 | 2.30 |
| 16186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.55 | 2.10 |
| 16188 | მალაგა-სოსიედადი | 1.50 | 2.20 |
| 16189 | რეალი-ბარსელონა | 1.60 | 1.90 |
| 16190 | რასინგი-დეპორტივო | 1.80 | 1.75 |
| 16191 | სევილია-ბეტისი | 1.40 | 2.40 |
| 16192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.30 | 2.80 |

## გოლი: წყვილი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| № | მატჩი | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 17001 | უიგანი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | სიტი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | არმინია-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17077 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | კიოლნი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17080 | მაინცი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | უდინეზე-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17141 | რომა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | კიევო-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ლეჩე-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ლივორნო-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17146 | რეჯინა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | სამპდორია-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ინტერი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ბილბაო-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | კადისი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17184 | სელტა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17188 | მალაგა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | რეალი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17190 | რასინგი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17191 | სევილია-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | უიგანი-არსენალი | 4.40 | 2.00 | 2.30 | 1.37 | 1.51 | 1.06 |
| 10002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 4.40 | 2.00 | 2.35 | 1.37 | 1.53 | 1.08 |
| 10004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.50 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.80 |
| 10006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.60 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.26 | 1.66 |
| 10007 | სიტი-ბლეკბერნი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.05 | 2.00 | 4.80 | 1.01 | 1.43 | 1.41 |
| 10011 | მიდლსბრო-ფულემი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.90 | 2.00 | 3.00 | 1.18 | 1.47 | 1.20 |
| 10074 | არმინია-ბაიერნი | 5.80 | 2.30 | 1.70 | 1.64 | 1.31 | 1.00 |
| 10076 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10077 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10078 | კიოლნი-შალკე | 4.00 | 2.00 | 2.40 | 1.33 | 1.50 | 1.09 |
| 10080 | მაინცი-აინტრახტი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10081 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.60 | 2.50 | 6.20 | 1.00 | 1.27 | 1.78 |
| 10084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2.05 | 2.00 | 4.90 | 1.01 | 1.44 | 1.42 |
| 10140 | უდინეზე-მესინა | 1.90 | 2.00 | 5.00 | 1.00 | 1.37 | 1.42 |
| 10141 | რომა-იუვენტუსი | 3.50 | 2.00 | 2.60 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10142 | კიევო-ასკოლი | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.44 |
| 10143 | ფიორენტინა-მილანი | 3.45 | 2.00 | 2.65 | 1.26 | 1.49 | 1.13 |
| 10144 | ლეჩე-სიენა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10145 | ლივორნო-ემპოლი | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |
| 10146 | რეჯინა-კალიარი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10147 | სამპდორია-ლაციო | 2.20 | 2.00 | 4.60 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10150 | ინტერი-პარმა | 1.50 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.89 |
| 10182 | ბილბაო-ალავესი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10183 | კადისი-ვალენსია | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10184 | სელტა-ატლეტიკო | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10185 | ესპანიოლი-მალიორკა | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10186 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10188 | მალაგა-სოსიედადი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10189 | რეალი-ბარსელონა | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10190 | რასინგი-დეპორტივო | 3.10 | 2.00 | 3.00 | 1.21 | 1.52 | 1.20 |
| 10191 | სევილია-ბეტისი | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | უიგანი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ჩელსი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ლივერპული-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მიდლსბრო-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | არმინია-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | კიოლნი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | მაინცი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | უდინეზე-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | რომა-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | კიევო-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ფიორენტინა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ლეჩე-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ლივორნო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | რეჯინა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | სამპდორია-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ინტერი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ბილბაო-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | კადისი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | სელტა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ესპანიოლი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | მალაგა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | რეალი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | რასინგი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | სევილია-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | უიგანი-არსენალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 3.80 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11007 | სიტი-ბლექბერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.45 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11011 | მიდლსბრო-ფულემი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11074 | არმინია-ბაიერნი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11076 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11078 | კიოლნი-შალკე | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11080 | მაინცი-აინტრახტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11140 | უდინეზე-მესინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11141 | რომა-იუვენტუსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11142 | კიევო-ასკოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11143 | ფიორენტინა-მილანი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11144 | ლეჩე-სიენა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11145 | ლივორნო-ემპოლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11146 | რეჯინა-კალიარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11147 | სამპდორია-ლაციო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11150 | ინტერი-პარმა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11182 | ბილბაო-ალავესი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11183 | კადისი-ვალენსია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11184 | სელტა-ატლეტიკო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11185 | ესპანიოლი-მალიორკა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11186 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11188 | მალაგა-სოსიედადი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11189 | რეალი-ბარსელონა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11190 | რასინგი-დეპორტივო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11191 | სევილია-ბეტისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | უიგანი-არსენალი | 2.30 | 1.60 |
| 14002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.20 | 1.65 |
| 14004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.06 | 2.80 |
| 14006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.15 | 2.50 |
| 14007 | სიტი-ბლექბერნი | 1.65 | 2.20 |
| 14008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 14010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.40 | 2.40 |
| 14011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.45 | 2.30 |
| 14012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14074 | არმინია-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14076 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.20 |
| 14078 | კიოლნი-შალკე | 2.10 | 1.75 |
| 14080 | მაინცი-აინტრახტი | 1.75 | 2.10 |
| 14081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.80 | 2.00 |
| 14082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.40 | 2.40 |
| 14140 | უდინეზე-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14141 | რომა-იუვენტუსი | 2.00 | 1.80 |
| 14142 | კიევო-ასკოლი | 1.30 | 2.50 |
| 14143 | ფიორენტინა-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14144 | ლეჩე-სიენა | 1.80 | 2.00 |
| 14145 | ლივორნო-ემპოლი | 1.60 | 2.30 |
| 14146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 2.20 |
| 14147 | სამპდორია-ლაციო | 1.60 | 2.30 |
| 14150 | ინტერი-პარმა | 1.06 | 2.90 |
| 14182 | ბილბაო-ალავესი | 1.60 | 2.30 |
| 14183 | კადისი-ვალენსია | 2.00 | 1.80 |
| 14184 | სელტა-ატლეტიკო | 1.80 | 2.00 |
| 14185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.75 | 2.10 |
| 14186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14188 | მალაგა-სოსიედადი | 1.75 | 2.10 |
| 14189 | რეალი-ბარსელონა | 1.80 | 2.00 |
| 14190 | რასინგი-დეპორტივო | 1.90 | 1.90 |
| 14191 | სევილია-ბეტისი | 1.65 | 2.20 |
| 14192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.60 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | უიგანი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | არმინია-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13078 | კიოლნი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13080 | მაინცი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | უდინეზე-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13141 | რომა-იუვენტუსი | 1.60 | 2.00 |
| 13142 | კიევო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13143 | ფიორენტინა-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ლეჩე-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13145 | ლივორნო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13147 | სამპდორია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ინტერი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13182 | ბილბაო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13183 | კადისი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13184 | სელტა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13188 | მალაგა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13189 | რეალი-ბარსელონა | 1.55 | 2.10 |
| 13190 | რასინგი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13191 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | უიგანი-არსენალი | 1.60 | 2.00 |
| 12002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | არმინია-ბაიერნი | 2.00 | 1.60 |
| 12076 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.00 | 1.60 |
| 12077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.00 | 1.60 |
| 12078 | კიოლნი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12080 | მაინცი-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.20 | 1.50 |
| 12083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12140 | უდინეზე-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12141 | რომა-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12142 | კიევო-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12143 | ფიორენტინა-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 12144 | ლეჩე-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12145 | ლივორნო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12147 | სამპდორია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12150 | ინტერი-პარმა | 2.00 | 1.60 |
| 12182 | ბილბაო-ალავესი | 1.60 | 2.00 |
| 12183 | კადისი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12184 | სელტა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12188 | მალაგა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12189 | რეალი-ბარსელონა | 2.00 | 1.60 |
| 12190 | რასინგი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12191 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

17 იანვარი

**დალასი 87:78 ატლანტა**

დალასი: ნოვიცკი (20 ქულა, 13 მოხსნა), ჰოვარდი (25 ქულა, 4 მოხსნა, 5 დაფარება), ტერი (12 ქულა), დენიელსი (11 ქულა), ვან ჰორნი (14 ქულა, 5 მოხსნა). ჰარისი (3 ქულა), დიოპი (2 ქულა, 7 მოხსნა), დამპიერი (0 ქულა, 8 მოხსნა)

ატლანტა: **ფაჩულია** (21 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი), ჯ. ჯონსონი (18 ქულა), მ. უილიამსი (4 ქულა, 5 მოხსნა), ე. ჰარინგტონი (15 ქულა, 10 მოხსნა), ჩილდრესი (2 ქულა, 5 მოხსნა), ჯ. სმიტი (6 ქულა, 5 მოხსნა, 3 დაფარება), ლიუ (7 ქულა), ს. სტუდემაიერი (5 ქულა), ედვარდსი, ბატისტა

**მინესოტა 109:98 ვაშინგტონი**

მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), შერბიაკი (17 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი), ჰადსონი (16 ქულა, 7 პასი)

*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

ვაშინგტონი: არენასი (33 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი). ბატლერი (15 ქულა, 8 მოხსნა), ჰეივუდი (14 ქულა, 5 მოხსნა)

**სან ანტონიო 86:80 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 9 მოხსნა), პარკერი (17 ქულა, 8 პასი), ჯინობილი (15 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

ჰიუსტონი: მაქგრეიდი (27 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი), იაო მინგი (19 ქულა, 7 მოხსნა), ჰედი (11 ქულა)

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# ფაჩულიამ კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, თუმც ატლანტას ვერც ამან უშველა



AFP ფოტოსიდან

„დალასისა“ და „ატლანტის“ შეხვედრა ფაჩულიასა და ნოვიცკის „დუელიც“ გამოდგა

**გუშინ** დალასის წინააღმდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა თავის NBA-ურ კარიერაში ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ. მან პირველად გადალახა 20-ქულიანი ზღვარი, დააგროვა ჯერჯერობით უმაღლესი, 21 ქულა, ამას ზედ 12 მოხსნაც დააყოლა და შთამბეჭდავი მაჩვენებლებით დაამთავრა შეხვედრა.

სამწუხაროდ, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი ზაზას და ატლანტამ მორიგი, უკვე მერვე დამარცხება განიცადა. არადა, ქართველმა დიდებულად ითამაშა, ორივე ფარზე ბევრი იბრძოლა (6 მოხსნა თავდასხმაში მოიპოვა) და პირდაპირ გააწამა თავისი მეტოქეები. გარდა ამისა, ზაზამ მოედანზე ყველაზე ბევრი — 40 წუთზე მეტი გაატარა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდი თამაშს სწორედ ქართველზე აგებდა.

ზაზამ რომ ჩინებულად ითამაშა იქიდანაც ჩანს, რომ მისი ამპლუის კალათბურთელებმა დალასის რიგებში — ერიკ დამპიერმა და დესაგანა დიოპმა — მთლიანობაში მხოლოდ ორი ქულა მოიპოვეს, აქედან პირველი თამაშს ადრევე დაემშვიდობა, 6 ჯარიმა დაუგროვდა, დიოპს კი ერთილა დააკლდა. ქართველი ისეთი აქტიური იყო, რომ მისი შეჩერება მხოლოდ ჯარიმების საშუალებით შეიძლებოდა.

ზაზას გუნდის კიდევ ორი ლიდერი მიეხმარა — ჯო ჯონსონი (18 ქულა) და ელ ჰარინგტონი (15 ქულა, 10 მოხსნა), მაგრამ ამან ატლანტას ვერაფერი უშველა. ჯერჯერობით ვერ ამართლებენ გაცემულ ავანსებს წლევანდელ დრაფტზე აყვანილი მოთამაშეები — მარვინ უილიამსი და სალიმ სტუდემაიერი.

დალასმა კი, წინა მატჩის დარად, დაცვაში ითამაშა კარგად და ზედიზედ მეორედ არ გადააცილა თავისი მეტოქე 80-ქულიან ზღვარს. გარდა ამისა, ატლანტამ ტყორცნის უცუდესი პროცენტული მაჩვენებლით დაასრულა შეხვედრა — მხოლოდ 34 პროცენტი, რაც ნათლად მეტყველებს, რა დონეზე იყო ტეხასელების დაცვა.

დალასიდან, როგორც ყოველთვის, მათი გერმანელი ლიდერი დირკ ნოვიცკი გამოირჩა, რომელმაც მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა (20 ქულა, 13 მოხსნა) და სწორედ მაშინ უმატა თამაშს, როცა მის გუნდს სჭირდებოდა. ლიდერს მხარში ამოუდგნენ ჯოშ ჰოვარდი (25 ქულა) და კეიტ ვან ჰორნი (14 ქულა) და ტეხასელები შინ კვლავ დაუმარცხებელნი არიან.

გუშინ ტეხასური დერბიც გაიმართა — მოქმედმა ჩემპიონმა სან ანტონიომ ჰიუსტონი მიიღო და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე დაამარცხა. ამ თამაშში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რატომ ითვლება სან ანტონიო წლევანდელი გათამაშების უმთავრეს ფავორიტად. გუნდს ყველაზე კარგად დაკომპლექტებული შემადგენლობა ჰყავს, რომლის თითოეული წევრიც მუდმივად საშიშია და ნებისმიერ მათგანს შეუძლია, თავის თავზე აიღოს ლიდერის ფუნქცია.

სან ანტონიოს მოთამაშეებმა ამჯერად ლიდერის ფუნქციები გადაინაწილეს. გუნდის ხუთმა წევრმა 10 ან მეტი ქულა დააგროვა. განსაკუთრებით კი თავი ტიმ დანკანმა (19 ქულა, 9 მოხსნა) და უბერებელმა ვეტერანმა — რობერტ ჰორიმ გამოიჩინეს (16 ქულა). ამას ტონი პარკერისა და მანუ ჯინობილის აქტიური თამაშიც დაემატა და ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის დასამარცხებლად.

აი, ჰიუსტონი კი კვლავ ორი კალათბურთელის — ტრეისი მაკგრეიდისა და იაო მინგის იმედზეა, რომლებმაც თავიანთ დონეზე კი ითამაშეს, მაგრამ სან ანტონიოსდარი გუნდის წინააღმდეგ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჰიუსტონის მწვრთნელი ჯეფ ვან განდი ჯერჯერობით ვერ ახერხებს იმის მიღწევას, რისკენაც მიისწრაფვის და რასაც შარშან თავისი გუნდის მთავარ პრობლემად თვლიდა — ეს არის შემადგენლობის სიღრმე, ანუ ის, რომ ჩემპიონობის ამბიციის მქონე გუნდი არ შეიძლება, მხოლოდ ორი კალათბურთელის იმედზე იყოს. სეზონებს შუა პერიოდში ჰიუსტონმა სწორედ ამიტომაც აიყვანა დერეკ ანდერსონი და სტრომაილო სვიფტი, თუმც ისინი ჯერჯერობით იმედს ვერ ამართლებენ. თუმც მთელი სეზონი ჯერ კიდევ წინაა, ვან განდის გუნდი კი ნამდვილად მოუმატებს და ვნახოთ, რა გამოვა.

ჰიუსტონს კი სან ანტონიოსთვის გასვლაზე 1997 წლის 20 აპრილის შემდეგ არ მოუგია და ამ პერიოდში ზედიზედ 16-ჯერ წააგო.

დღის მესამე შეხვედრაში მინესოტამ ვაშინგტონი მიიღო და დაამარცხა კიდეც. მათ ეს ჩვენებური ნიკოლოზ ცქიტიშვილის დაუხმარებლად მოახერხეს, რომელიც არც ამჯერად იყო განაცხადში.

მინესოტელთა რიგებში კვლავ კევინ გარნეტი გამოირჩა, რომელმაც დიდებულად ითამაშა და სამმაგ დუბლს მხოლოდ ერთი პასი დააკლდა (25 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი).

მინესოტამ ამჯერად გუნდურადაც მშვენივრად ისპარეზა, განსაკუთრებით უოლი შერბიაკი და ტროი ჰადსონი ეხმარებოდნენ გარნეტს.

ვაშინგტონი კი, მას შემდეგ, რაც სან ანტონიო გასვლაზე დაიცა, ალბათ ეიფორიიდან ვეღარ გამოდის და ზედიზედ მეორე თამაშს აგებს. გილბერტო არენასმა კვლავ დიდებულად ითამაშა, მაგრამ მას მხარი ვერ აუბა ანტუან ჯეიმისონმა, არადა, ვაშინგტონის წარმატება დიდწილად სწორედ ამ ორი მოთამაშის კარგ გამოსვლაზეა დამოკიდებული.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ესპანური ოდისეა

## ათუაშვილი ხირონამ მიიწვია

*ორი კვირის წინ გამცნეთ, რომ ფრანგულ „შალონში“ მოთამაშე სერგო ათუაშვილის აყვანა კატალონიურ „ბარსელონას“ სურდა, თუმც ეს ტრანსფერი ჩაიშალა და... 223-სანტიმეტრიან ქართველს არანაკლები ვარიანტი გამოუჩნდა. გუშინ ათუაშვილმა ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონას“ ზურგსუკან, მეორე ადგილზე მყოფ „ხირონასგან“ მიიღო მიწვევა და დღე-დღეზე პირინეის ნახევარკუნძულზე ჩავა. ხირონელებთან მოლაპარაკებას სერგოს ახალი აგენტი არტურო ორტეგა აწარმოებდა, რომელიც ახლა ესპანეთშია და ქართველს ელოდება. უფრო დაწვრილებით თავად ათუაშვილისგან შევიტყვეთ, რომელსაც გუშინ საფრანგეთში შევეხმიანეთ...*



— გავიგეთ, „ხირონა“ გეპატიჟება. მაშ, „ბარსელონა“?

— ბარსელონელებს ახლაც სურთ, ამიყვანონ, მაგრამ ჩემი მენეჯერი წინააღმდეგია. საქმე ისაა, რომ „ბარსამ“ უკვე აიყვანა 220-სანტიმეტრიანი ცენტრი, რომელიც ჩემსავით ახალგაზრდაა. აქედან გამომდინარე, არტურო ორტეგამ მირჩია, შენი განვითარებისთვის აჯობებს, თუ სხვაგან წახვალო. „ბარსელონაში“ თუ გადავალ, ცოტას მათამაშებენ, ისეთ გუნდში უნდა ვიყო, მოედანზე საკმარისი დროით რომ გამიყვანენ. ორტეგამ უკვე მიპოვა სხვა კლუბი — პრიმერადივიზიონელი „ხირონა“.

— რამდენად რეალურია ეგ ვარიანტი?

— კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია და წინასწარ იმის თქმა, გადავალ თუ არა „ხირონაში“, ძნელია. მთავარია, რომ ესპანელებმა გადაწყვიტეს ჩემი მიწვევა. ხირონაში იმყოფება ჩემი მენეჯერი. მან წუხელ დამირეკა და მითხრა, ხვალ მოწვევას გამოგიგზავნი და აქ უნდა ჩამოხვიდეო.

— გასინჯვაზე მიდიხარ თუ ეგრევე კონტრაქტს გააფორმებენ?

— არ ვიცი, თუმც როგორც ორტეგამ მითხრა, ხირონელები ისე ყოფილან ჩემით დაინტერესებულნი, რომ კონტრაქტს აუცილებლად გამიფორმებენ. წინასწარ მაინც არ მინდა ლაპარაკი.

— „შალონიდან“ გაშვების პრობლემა გქონდა და თუ მოაგვარე?

— ყველაფერი კარგადაა, შალონელები მიშვებენ, თუმც ერთი გაურკვეველი საკითხია და ამას ალბათ ჩემი მენეჯერი მოაგვარებს. „შალონი“ კონტრაქტის გაწყვეტის საკომპენსაციოდ 40 ათას ევროს ითხოვს. როგორც ვიცი, „ხირონა“ მზადაა ამ თანხის გადასახდელად, თუმც, როგორც ორტეგა მეუბნება, „შალონს“ არაფერი ეკუთვნის. კლუბმა კონტრაქტის ყველა პირობა არ შეასრულა, რაც მის დარღვევას ნიშნავს და ჩემი მენეჯერიც იურიდიულად აპირებს შალონელების გაჩერებას. თუმც ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ჯერ ხირონაში უნდა ჩავიდე და იქაურთაგან გუნდში აყვანის თანხმობა მივიღო.

— **ჯანი როგორ გაქვს? ამას წინათ ვერ იყავი მწობრში...**

— ინდივიდუალურად, ფიზმომზადების მწვრთნელთან ვვარჯიშობდი, ფეხის ტრავმა კი მომარჩა, მაგრამ აღდგენას დასჭირდა დრო. ახლა თითქმის ყველაფერი კარგადაა და ხირონაში წასასვლელად ვემზადები.

**ირაკლი პერტაია**



დავიდ ნალბანდიანი



როჯერ ფედერერი

მასტერსის თასი
შანხაი. ჩინეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 4 450 000 $

**წითელი ჯგუფი**

როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — გილერმო კორია (არგენტინა) — 6:0 1:6 6:2;
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — 6:2 6:2

# ლიუბიჩიჩს საწვავი არ ეყო

*შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასის გათამაშება ნელ-ნელა უახლოვდება თავის გადამწყვეტ ფაზას. დღეისთვის უკვე ცნობილია სამი ნახევარფინალისტის ვინაობა — შვეიცარიელი როჯერ ფედერერისა და რუსი ნიკოლაი დავიდენკოს კომპანიას არგენტინელი დავიდ ნალბანდიანიც შეუერთდა. მხოლოდ ერთი ადგილია ვაკანტური, რომლისთვისაც ჩილიელი ფერნანდო გონსალესი და არგენტინელი გასტონ გაუდიო იბრძოლებენ*

**კორტებზე** პირველები შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და არგენტინელი გილერმო კორია გავიდნენ. ამ თამაშისგან ბევრს არავინ მოელოდა, რადგანაც ფედერერს უკვე გარანტირებული ჰქონდა ნახევარფინალში გასვლა, თანაც პირველი ადგილიდან, კორია კი სრულიად უშანსოდ იყო, რადგანაც პირველი ორი შეხვედრა უიმედოდ წააგო, თან ერთობ სუსტად ითამაშა.

მიუხედავად ასეთი პროგნოზებისა, მატჩი მაინც საინტერესო გამოდგა, კორიამ კი ტურნირზე საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და შვეიცარიელს ერთი სეტიც აართვა. არგენტინელს ისე რომ ეთამაშა, როგორც ფედერერთან მეორე სეტში, მაშინ ამ ტურნირზე მეტის ამბიცია ექნებოდა.

აი, შვეიცარელს რა დაემართა მეორე სეტში, ნამდვილად გაუგებარია, მატჩის შემდეგ კი იხუმრა — მაყურებლისთვის ბილეთებში გადახდილი ფული რაიმე ინტრიგით ხომ უნდა ამენაზღაურებინაო, მაგრამ... როგორც ჩანს, ფედერერს ტრავმა არა აქვს ბოლომდე მოშუშებული და ეს ახდენს ზეგავლენას მის თამაშზე. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ სამივე თამაშში სამი სეტის ჩატარება მოუხდა. თანაც კორიასთან მატჩში უჩვეულოდ ბევრი, 33 უნებლიე შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ეს მატჩი დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა — შვეიცარიელს საათნახევარზე ცოტა დასჭირდება მეტოქის დასამარცხებლად.

არადა, პირველი სეტის განმავლობაში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ კორია ინტრიგას გაალვივებდა. გარდა იმისა, რომ მან უიმედოდ წააგო პირველი პარტია, მუხლის მყესებიც ასტკივდა და ექიმის გამოძახება მოუხდა. თუმც ამ იძულებითი შესვენების შემდეგ არგენტინელი სულ სხვანაირად ათამაშდა, მეორე სეტში ორჯერ გაუკეთა ბრეიკი თავის მოწინააღმდეგეს და პარტიებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი თითქოს თანაბარ ორთაბრძოლაში დაიწყო, მაგრამ ეს მეექვსე გეიმამდე გაგრძელდა — ამის შემდეგ ფედერერმა ზედიზედ სამი მოწოდება აიღო და თამაშიც მოიგო.

„ფიზიკურად ასი პროცენტით მზად არ ვარ. არცაა გასაკვირი, ეს კორტზე და ტრენაჟორებზე ვარჯიშით არ მოდის, პრაქტიკაა საჭირო და ამისთვის სამსეტიანი მატჩები ძალიან სასარგებლოა... მეორე სეტში კონტროლი კი დავკარგე, მაგრამ მესამეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ვფიქრობ, შევძლებ დღევანდელი შეცდომების გააზრებას და შაბათს (ნახევარფინალის დროს) აღარ გავიმეორებ".

ასე თუ ისე, ფედერერისა ოციანი მოგებათა სერია 34 მატჩამდე გაზარდა, წლევანდელი მოგება-წაგებათა ბალანსი კი 80:3-ზეა. მას შანსი აქვს, რომ ჯონ მაკინროის მიერ 1984 წელს დამყარებული ფანტასტიკური რეკორდი გაიმეოროს — 82 მოგება და 3 წაგება. გარდა ამისა, შვეიცარიელის გამოსვლა წლის შემაჯამებელ ტურნირებზე მართლაც სამაგალითოა — 16 მოგება და 1 წაგება, ეს ერთადერთი დამარცხება კი ფედერერმა 2002 წლის ნახევარფინალში, შემდგომ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტთან განიცადა.

დღის მეორე მატჩში კი ამ ჯგუფიდან გამსვლელი მეორე ჩოგბურთელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. ამისთვის ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი ეცილებოდნენ ერთმანეთს. სპეციალისტთა შეფასებით, აქ ნამდვილი ბრძოლა უნდა გამართულიყო, რომელშიც ალბათ ხორვატი გაიმარჯვებდა, ვინაიდან ის ამ შემოდგომაზე ფანტასტიკურ ფორმაშია.

თუმც ჩოგბურთი სწორედ იმიტომ არის ასეთი საინტერესო სპორტი, რომ აქ შედეგის გამოცნობა, თანაც მაშინ, როცა ასეთი მაღალი კლასის მოთამაშეები ერკინებიან, თითქმის შეუძლებელია (თუმცა ფედერერს ეს არ ეხება ის ყოველთვის ფავორიტია). ასე მოხდა ამჯერადაც — დავიდ ნალბანდიანმა უპრობლემოდ, 67 წუთში დაამარცხა თავისი მეტოქე.

ხორვატისთვის ყველაფერი შოკისმომგვრელად დაიწყო, როცა ძალიან მალე არგენტინელი 5:0 დაწინაურდა. პირველ სეტში ლიუბიჩიჩმა კი გაიბრძოლა, მაგრამ არგენტინელმა მაინც ადვილად მოიგო 6:2. ამ მატჩში გადამწყვეტი ის აღმოჩნდა, რომ არგენტინელმა ძალიან კარგად ითამაშა მიღებაზე და ამით ფაქტობრივად გამოაცალა ხორვატს თავისი მთავარი იარაღი — ძლიერი მოწოდება.

ამან ლიუბიჩიჩი ძალიან დააბნია და მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა.

იგივე სურათი ვიხილეთ მეორე სეტშიც, როცა ნალბანდიანმა მესამე გეიმშივე გააკეთა ბრეიკი. ამას მოგვიანებით კიდევ ერთი დაუმატა და მეორე სეტი და, აქედან გამომდინარე, მთელი თამაშიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

მატჩის შემდეგ ნალბანდიანი უბრალოდ აღფრთოვანებული იყო:

„ასე ხშირად რომ ვთამაშობდე, დარწმუნებული ვარ, რეიტინგში უფრო მაღალ პოზიციაზე ვიქნები... ხანდახან დიდი მოტივაცია მჭირდება. დღეს ასე იყო და ალბათ საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე".

ლიუბიჩიჩმა კი ესღა თქვა:

„მე მგონი, როჯერთან (ფედერერი) მატჩისას უფრო დავიღალე, ვიდრე მეგონა... ნალბანდიანმა მართლაც რომ დიდებულად ითამაშა... ამ წაგებში არაფერია არც საწყენი და არც სასირცხვილო, მაგრამ მაინც ძალიან ცუდი გრძნობაა, როცა საწვავი ფინიშამდე რამდენიმე მეტრში გითავდება".

ასეა თუ ისე, ნახევარფინალში ნალბანდიანი გავიდა, სადაც მას რუს ნიკოლაი დავიდენკოსთან ელის შეხვედრა.

**კახა ლომაშვილი**

კრივი

# სპორტის ერთგულებისთვის

**მსოფლიოს** საკრივო საბჭო WBC ვიტალი კლიჩკოს თავისი ვერსიით საპატიო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მიანიჭა. WBC-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ კლიჩკოს ეს ტიტული მიანიჭა „სპორტის უანგარო ერთგულების აღიარებისა და არაორდინალური საკრივო კარიერის, აგრეთვე მისი დამსახურებათა ნუსხის პატივისცემის ნიშნად, რაც 35 გამარჯვებით, მათ შორის ნოკაუტით მოგებული წარმოუდგენელი პროცენტული მაჩვენებლით (97,1) გამოიხატა.

WBC-ის წესების თანახმად, საპატიო ჩემპიონი კრივში დაბრუნებისთანავე, თუკი ეს მოხდა, უმალ მიიღებს სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსს.

ამგვარად, თუ ვიტალი კლიჩკო რინგზე დაბრუნებას გადაწყვეტს, მაშინ იგი უმალ შეძლებს WBC-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას.

WBC-ის განცხადებაში ისიც ნათქვამია, რომ ჰასიმ რაჰმანს ამ ორგანიზაციის ჩემპიონის ქამარს 20 დეკემბერს ოფიციალურად გადასცემენო.

ჭადრაკი

# ადამიანი და კომპიუტერი ბილბაოში გაგრძელდება

**ბასკთა** მთავარი ქალაქი ბილბაო 20-დან 23 ნოემბრამდე ადამიანთა და კომპიუტერთა ბრძოლას უმასპინძლებს. გათამაშება უკვე მეორედ იმართება და მასში მსოფლიოს სამი უძლიერესი კომპიუტერი მონაწილეობს. DEEP JUNIOR, HYDRA და FRITZ.

შეგახსენებთ, რომ შარშან კომპიუტერმა ანქანებმა 8,5:3,5 მოუგეს ადამიანებს.

წლეულს ამ დაპირისპირებაში ფიდეს სამი ექსჩემპიონი ითამაშებს: უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი და ებრაელი ალექსანდრ ხალიფმანი.



რუსტამ კასიმჯანოვი

# პაიეტის მთავარი დასკვნა

17 ნოემბერი

**ბუფალო 8:5 ვაშინგტონი**

*4:1 2:3 2:1*

1:0 კემპბელი (1), 1:1 კლარკი (5), 2:1 კოტალიკი (15), 3:1 პაიეტი (17), 4:1 პაიეტი (20), 5:1 კალინინი (24), 6:1 კემპბელი (29), 6:2 კესელსი (32), 6:3 საზერბი (35), 6:4 ოვეჩკინი (40), 7:4 პაიეტი (57), 7:5 კლაიმერი (57), 8:5 კონოლი (59)

**წლეულს** ნჰლ-ი ნამდვილად კარგ სანახაობად იქცა. წესების შეცვლის შემდეგ თამაშს არა მარტო შედეგიანობა, აზარტიც შეემატა, წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება, წინა წლებში კი ერთ-ერთი გუნდი სამი-ოთხი შაიბით თუ დაწინაურდებოდა, უმეტეს შემთხვევაში თამაში აზრს კარგავდა.

ახლა სულ სხვაგვარადაა საქმე — ერთ თამაშში სამი შაიბა ლამის ყველას გააქვს, ვისაც არ ეზარება. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისთვისაც სეზონში 5-6 შაიბა ოცნების ზღვარი იყო. თუნდაც ეს შეხვედრა ავიღოთ, რომელშიც ჰეთ თრიქის ავტორი ტეილორ პაიეტი გახდა, კაცი რომელსაც აქამდე ერთი შაიბაც არ გაეტანა... ამჯერად კი სამჯერ შეაგდო, თან ერთიმეორეზე უკეთესები.

„მთავარი დასკვნა, რომელიც წლეულს გამოვიტანე, ისაა, რომ თამაშში უამრავი აღმართ-დაღმართია და არასოდეს უნდა დანებდე. თუ ბოლომდე გაირჯები, წარმატება აუცილებლად მოვა" — თქვა ნამატჩევს პაიეტმა.

**კაროლინა 5:1 რეინჯერსი**

*1:1 2:0 2:0*

1:0 სტაალი (19), 1:1 ნიულანდერი (20), 2:1 კევ. ადამსი (24), 3:1 კევ. ადამსი (38), 4:1 კევ. ადამსი (52), 5:1 უილიამსი (59)



ოტაველი დანიელ ალფრედსონი ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა

AFP ოტავადან

**ამ** მატჩშიც ჰეთ თრიქი იმან შეასრულა, ვისგანაც არ ელოდნენ. ხუთშაბათს კევინ ადამსის დღე იყო, მან კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გოლის გატანაში მას ხელი მოგვარე კრეიგ ადამსმა შეუწყო, რომლის ძალისმიერი ილეთის შემდეგაც მეტოქეთა მცველმა შაიბა დაკარგა და ამით კევინმა ისარგებლა.

**ოტავა 4:1 ფლორიდა**

*0:1 0:0 4:0*

0:1 ჩოკინენი (16), 1:1 სმოლინსკი (43), 2:1 ალფრედსონი (53), 3:1 ალფრედსონი (53), 4:1 ვერმეტი (58)

**სეზონის** კიდევ ერთი საინტერესო სიახლე ბომბარდირთა გამძაფრებული ბრძოლაა. პრაქტიკულად ყოველდღე იცვლება სათავეში მყოფი ჰოკეისტის ვინაობა, ხოლო საუკეთესონი 2 ქულაზე მეტს აგროვებენ საშუალოდ ერთ თამაშში! ფილადელფიელი პეტერ ფორსბერგი მხოლოდ ერთი დღით გაპირველდა, ხუთშაბათს კი მას კვლავ გაუსწრო თანამემამულე დანიელ ალფრედსონმა. მორიგი ორი გოლის შემდეგ 35 (18+17) ქულაა ოტაველის აქტივში.

**ბოსტონი 1:4 ტორონტო**

*0:0 1:1 0:3*

0:1 ანტროპოვი (12), 1:1 ისბისტერი (20), 1:2 ლინდროსი (49), 1:3 სუნდინი (51), 1:4 ტაკერი (55)

**ტამპა 3:2 აილენდერსი**

*1:1 1:0 1:1*

0:1 ნილსონი (6), 1:1 ფედოტენკო (19), 2:1 რიჩარდსი (32), 2:2 იაშინი (41), 3:2 სან ლუი (59)

**მარტენ** სან ლუი ტრავმის შემდეგ ასე სწრაფად რომ დაბრუნდებოდა, ვინ იფიქრებდა. 2004 წლის **ქმზ**-ს თითის ძვლის მოსაშუშებლად მინიმუმ 2-3 კვირა იყო ნავარაუდევი, მაგრამ იგი გაცილებით ადრე განიკურნა და დაბრუნების შემდეგ პირველივე თამაშში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა.

„ეს აბსოლუტურად მოულოდნელი იყო მთელი გუნდისთვის, თუმცა ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს მის ხასიათზე. ჩანს, მარტენს ყველაზე დიდი გული აქვს ამ ლიგაში და ყველაზე მეტად უყვარს ჰოკეი" — „ტამპას" მეკარე ჯონ გრემი თამაშის შემდეგაც გაოცებული იყო.

**ედმონტონი 6:5 დეტროიტი**

*1:1 0:2 4:2 1:0*

1:0 ჰემსკი (15), 1:1 სამუელსონი (17), 1:2 დაციუკი (24), 1:3 ფრანცენი (25), 2:3 ბერჟერონი (46), 3:3 რ. სმიტი (47), 4:3 მორო (49), 5:3 რ. სმიტი (53), 5:4 შენაჰანი (57), 5:5 აიზერმანი (58), 6:5 სტოლი (61)

**ლოს ანჯელესი 5:4 ვანკუვერი**

*2:0 1:1 2:3*

1:0 ვისნოვსკი (10), 2:0 ვისნოვსკი (11), 3:0 კამალერი (22), 3:1 დ. სედინი (37), 4:1 კოუენი (44), 5:1 კონროი (44), 5:2 ბერტუცი (48), 5:3 ნესლუნდი (52), 5:4 ნესლუნდი (58)

**სამველ ლარიბიანი**

---

მძლეოსნობა

# რა ელის პატარა ბუთხიას?





*ამ კითხვამ ააფორიაქა ინდოეთის ორისის შტატის ხელისუფალნი, რომელნიც შეშფოთებულნი არიან ერთი ციდა მარათონელის, ბუთხია სინგხის მომავალზე, რომელიც შესაძლოა ექსპლუატაციის მსხვერპლი გახდეს. როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ბუთხია სინგხს, რომელიც სამი წლისაა, შეუძლია შეუსვენებლივ 60 კილომეტრის სირბილით დაფარვა*

**ბუთხია** სინგხმა რამდენიმე დღის შუალედით ორ მარათონში ირბინა — 60 და 35 კილომეტრზე.

შეგახსენებთ, რომ პატარა ბუთხიას ასეთი ფენომენალური შესაძლებლობები სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ძიუდოისტთა მწვრთნელმა ბირანჩი დასმა.

ეს მაშინ მოხდა, როცა ბუთხია ცუდი ყოფაქცევისთვის სასჯელს იხდიდა.

„ერთხელ ბავშვმა გამბრაზა და ვუთხარი, ეზოში მანამ ირბენ, სანამ არ დავბრუნდები-მეთქი, — იხსენებს ბირანჩი დასი. — მე ბევრი საქმე მქონდა და ბავშვი სულ გადამავიწყდა. როცა 5 საათის შემდეგ დავბრუნდი. დავინახე, რომ ბუთხია ისევ დარბოდა".

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბუთხიას დედა ქმრის გარდაცვალების გამო იძულებული გახდა შვილი 800 რუპიად გაეყიდა. და როცა დასმა შემთხვევით აღმოაჩინა ამ ბავშვის მონაცემები, მან ბუთხია გამოისყიდა და მისი ვარჯიში დაიწყო.

საგანგებო დიეტამ და ვარჯიშმა განაპირობა ბუთხიას უფრო მეტი გამძლეობა, რომელიც ყოველ ორსამ დღეში კილომეტრობით ზრდის გარბენილ მანძილს.

ცოტა ხნის წინათ ბუთხია სინგხი სატელევიზიო რეკლამებში გამოჩნდა, რამაც ადგილობრივი ხელისუფალნი ბავშვის ბედზე დააფიქრა.

ორისის შტატის სპორტის მინისტრმა დებაშის ნაიკმა განაცხადა, რომ ბავშვის ექსპლუატაციას მდუმარედ არ შეხვდებიან და მზად ვართ, ნებისმიერ მომენტში ჩავერიოთ საქმეში, რათა ბავშვის მომავალი გადავარჩინოთო.

ბავშვის ბედზე შეშფოთება გამოთქვა ყოფილმა ცნობილმა ინდოელმა მორბენალმა იტი უშამ. იგი თვლის, რომ ბავშვისთვის ასეთი მარათონები მეტად სახიფათოა.

იმასაც ამტკიცებენ, რომ გრძელ დისტანციებზე რბენამ დიდი შანსია უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის გულსა და ფილტვებზეო.

იმავდროულად, ამ ყოველივეს არ ეთანხმება ბავშვის მამობილი და მწვრთნელი ბირანჩი დასი. მისი თქმით, ბუთხიას ჯანმრთელობას მუდმივად თვალს ადევნებს სამი ექიმი.

„ვერაფრით გამიგია, რატომ ღელავს ეს ხალხი", — გაკვირვებული კითხულობს დასი.

საინტერესოა, რომ შტატის ხელისუფლებამ ამ საოცარ ბავშვს თვეში სტიპენდიის სახით 500 რუპია (დაახლოებით 12 დოლარი), დაუნიშნა მაგრამ დასი ამბობს, რომ ეს ფული დიდი გაჭირვებით მხოლოდ ორ დღეს ყოფნისო.

**ავთანდილ ტყვიშელი**

---

ოლიმპიზმი

# როგის ნაცვლად როგის ვიდეო სალამი

**26 ნოემბერს** მოსკოვში, წითელ მოედანზე დაგეგმილია რუსეთის ოლიმპიელთა აღლუმი, რისთვისაც მოწვევა გაუგზავნეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მოსკოვში ჟაკ როგი არ ჩავა.

„სოკ-ის პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ვერ შესძლებს აღლუმზე დასწრებას, — ამბობს ამ ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ალექსეი ტვერიტინი. — ამის მთავარი მიზეზი ისაა, სოჭი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების კანდიდატია. საქმე ისაა, რომ ჟაკ როგი თავს იკავებს იმ ღონისძიებებზე სიარულისგან, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციების ოფიციალურ კალენდარში არ შედის. და რაც მთავარია, იგი თავს იკავებს ოლიმპიური თამაშების კანდიდატ ქალაქებში სტუმრობისგან".

თუმცა, ჟაკ როგი მოსკოველებს დაპირდა, ჩემი მისასალმებელი სიტყვის ვიდეოჩანაწერს გამოვიგზავნითო, რასაც აღლუმის მონაწილეებს ამ ღონისძიების მსვლელობისას უჩვენებენ.



# მეფე და მეფე

ყატარის დედაქალაქ დოჰაში რომ სპორტის აკადემია გაიხსნა, იქ ასეთი იშვიათი სურათიც იყო. შერიგებულნი და დამეგობრებულნი, სხვანაირად უკვდავნი. სახელებს აღარ შეგახსენებთ. იმას კი ვიტყვით, რომ დოჰას სპორტული აკადემია უდიდესია მსოფლიოში.




# ჯაბერ სალემ სასახელო

ყატარი პირდაპირ დაიხუნძლა სპორტული ღონისძიებებით. ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატიც იქ მიმდინარეობს. ჰოდა, ყატარელებს ის გაუხარდათ, რომ ჯილდო მათიანმაც მიიღო: +105 კილოგრამიანთა შორის ბრინჯაო ჯაბერ სალემ საიდს ერგო.

# ტვირთი

რა თქმა უნდა, ამხელა ტვირთით სიარული ძნელია, მით უმეტეს, როცა ბურთი ხელში გიჭირავს. „ბარსელონა" ლიტვურ „ლიეტუვოს რიტას" ხვდება, ჩვენ კი, თუ კარგად შევხედავთ, მივხვდებით, რომ ეს ტვირთმოკიდებული კაცი ქართველია... დიახ, ქართველი. პასპორტით მაინც. მისი სახელია შემონდ უილიამსი და ის საქართველოს ნაკრების წევრია. ჩვენი შემონდა...



# მოსკოვური რბოლები

ეს კრემლის სპასკაია ბაშნიაა, შუა მოსკოვში კი მოტოფრისტაილის შეჯიბრი მიმდინარეობს და ვასილის დაღმართზე პირდაპირ სნოუმობილებითაც გამოსულან. თუმცა თოვლის მანქანის ქვეშ თოვლი არ ჩანს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge